საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 26 ივნისი, 2015 წელი.

№117 (7762)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს სერიოზული პრობლემები ემუქრება

ისლამური სახელმწიფოს კავკასიის ემირატი

6

სინდისის ქენჯნა, თანამემამულეთა დახმარების სურვილი თუ მორიგი პიარი?

9

„ახალი სამშობიარო ცენტრის“ ყველა თანამშრომელი ემიჯნება ბავშვით ვაჭრობის ფაქტს“

თამაზ მეჭიაური:

მსოფლიო ბანკმა და სსფ-მა პარლამენტს კბილი მოუსინჯეს

3

გიორგი გაჩეჩილაძე:

საპაკაშვილმა კანონმდებლობა დაანგრია და გაანადგურა!

2

დავეხმაროთ პარლამენტარებს ბიზნესის კეთებაში!



4

ლელვთახევი გაინმინდა

დღეს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებმა ბოტანიკური ბაღის მეგობართა ჯგუფის წევრებთან ერთად, მდინარე წავკისისწყალის (ლელვთახევი) გაწმენდითი სამუშაოები დაასრულეს. სამუშაოები ორი დღე გრძელდებოდა, მასში თბილსერვისჯგუფის სანიაღვრე სამსახურის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

— ჩვენ ამ სამუშაოების შესახებ სოციალური ქსელიდან შევიტყვეთ. მე და ჩემი მეგობარი მარიამ პაიჭაძე სტუდენტები ვართ. მე თსუ-ში პროგრამირებას ვსწავლობ, მარიამი მომავალი ფილოსოფოსია. აქ მოვედით იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქის მოვლა, ყველა ჩვენგანის ვალია. ძირითადად ნარჩენებს ვაგროვებდით და სატვირთო მანქანამდე გამოგვქონდა — თქვა მოხალისე სანდრო ტუღუშმა.

ბოტანიკური ბაღის მობილური ჯგუფის წარმომადგენელი, ელექტრიკოსი გიორგი შარიქაძე დაზიანებული კოლექტორის აღდგენაზე მუშაობდა.

— ამ ორი დღის განმავლობაში შევძელით სტიქიისგან დაზიანებული კოლექტორის აღდგენა. წყალმა მთლიანად გაანადგურა წყლის მიმღები მოწყობილობა, რომლის გამართული მუშაობაც ბაღისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კოლექტორიდან გასული წყალი ავსებს აუზებს, საიდანაც ბოტანიკური ბაღის სანერგე და, ფაქტობრივად, თითქმის მთელი ბაღი ირწყვება. ამოვიღეთ 4 კუბური მეტრი ლაფი და ქვიშა, გავწმინდეთ სენსორები და წესრიგში მოვიყვანეთ წყლის გამტარი ჯებირი. ამ ყველაფრისთვის საჭირო გახდა შედუღებითი სამუშაოების ჩატარება. აღდგენილი კოლექტორი შემოწმდა და ახლა უკვე გამართულად მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ მდინარე წავკისისწყალი 13-14 ივნისის სტიქიური მოვლენების შემდეგ, სასწრაფოდ საჭიროებდა დასუფთავებას, გაწმენდითი სამუშაოები საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლებმა 24-25 ივნისს შეასრულეს.

დათა თვალაძე

პრემიერმა ხორვატ და სლოვენიელ კოლეგებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხორვატ კოლეგას ზორან მილანოვიჩს ხორვატიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს და ხორვატ ხალხს კეთილდღეობასა და ბედნიერებას უსურვებს.

„ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მადლობა მოვახსენო ხორვატიას იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ის უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე მის შემდგომ ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

* * *

ირაკლი ღარიბაშვილმა სლოვენიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე სლოვენიელ კოლეგას მირო ცერარს მიულოცა.

„რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში თქვენთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა სლოვენიის მხარდაჭერაში, რომელსაც ის უცხადებს საქართველოსა და მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. დარწმუნებული ვარ, თქვენი პირადი წვლილის წყალობით, ურთიერთობები საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკას შორის კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება ორივე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

ინტერპრესი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბოხუმის რურის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ანტიკური, შუასაუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის თვალსაჩინო მკვლევარი, აკადემიის უცხოელი წევრი

ბურკჰარდ მოიზიში

ჰენრი კერალს „ოქროს საწმისის“ ორდენი გადაეცა

საქართველოსთვის გაწეული სამსახურისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალს „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილმა გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა ჰენრი კერალთან, რომელსაც საქართველოში საქმიანობის მისია ამოეწურა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჰენრი კერალის უშუალო ჩართულობით, მსოფლიო ბანკმა ქვეყნის განვითარების, ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და დღემდე ახორციელებს. მათ შორის არის საგზაო ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, რეგიონული განვითარების და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით მიმდინარე პროექტები.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს ქვეყნის ერთ-ერთი საკვანძო ინფრასტრუქტურული პროექტის — აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა/რეაბილიტაცია, რომლის ძირითადი მიზანია, დააკავშიროს ქვეყნის დედაქალაქი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები დასავლეთ საქართველოში მდებარე საპორტო, რეკრეაციულ და ტურისტულ ცენტრებთან.

SIC!

რატომ გაძვირდა ფქვილი!



როცა პროდუქცია საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ ფასად იყიდება, როცა ასეთი ფარული მოლაპარაკებების შედეგია, დოლარი დაბლა იწევს და გაზეთ „რეზონანსში“ ქვეყნდება ხორბლის საბაზრო ფასები, დაჯდეს ეკონომიკის სამინისტრო, იანგარიშოს და გაგვცეს პასუხი, რა ხდება, რატომ ძვირდება ფქვილი?!

მივმართავთ ჟურნალისტებს, ძალიან ცუდი ტენდენციებია, დაინტერესდით: **რატომ ძვირდება ფქვილი საქართველოში, ვის აინტერესებს, ფქვილის გაძვირება?**

გვიდონ ხოფერია, ნუკრი ნემსაძე,
პურის მწარმოებლები.

ინფორმაცია

იან კელი - საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩი

აშშ-ის სენატმა საქართველოში ახალ ელჩად იან კელი დაამტკიცა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს. მათი განმარტებით, ელჩი კელი და მისი მეუღლე ფრანჩესკა თბილისში ჩამოსვლას სექტემბრისთვის გეგმავენ.

საელჩოს ცნობით, ელჩმა ნორლანდმა იან კელის თანამდებობაზე დამტკიცება მიულოცა და საქართველოდან გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. „სადაც არ უნდა ვიყოთ, საქართველო და ქართველები მუდამ მერის და ჩემს გულებში დარჩებიან“, — აცხადებს ელჩი ნორლანდი.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდი სტიქიით დაზარალებულებს 500 000 ლარით ეხმარება

თანხა 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში, ქალაქის მერიის მიერ სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე უკვე გადარიცხეს.

„ჩვენ ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ 13 ივნისს თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს. მათ დასახმარებლად ფონდმა მერიის სპეციალურ ანგარიშზე 500 000 ლარი გადარიცხა. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ სტიქიის დღიდან ფონდის თანამშრომლები მოხალისეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ გაწმენდით სამუშაოებში და საკვებითა და მედიკამენტებით ეხმარებოდნენ ადგილზე მომუშავე პირებს,“ — განაცხადა თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა.

აღნიშნული დახმარების გარდა, ფონდმა პარტნიორ კომპანია BitFury ჯგუფთან ერთად გახსნა სპეციალური ანგარიში ბიტკოინ შეწირულობებისთვის, რომელზეც სტიქიის დღიდან ბიტკოინის მომხმარებლებს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შეეძლოთ დონაციების განხორციელება.

— ამ დროისთვის მობილიზებული თანხის მოცულობა 458, 000 ამერიკულ დოლარს აღემატება. ამ საერთაშორისო საქველმოქმედო კამპანიის ფარგლებში მოძიებული თანხა დამატებით გადანაწილდება სტიქიით დაზარებულთა და ზოოპარკის რეაბილიტაციის დახმარების ფონდებში, — განმარტავენ თანაინვესტირების ფონდში.

ბავშვებს „მუშტაიდის პარკმა“ უმასპინძლა

40-მდე მოზარდს შესაძლებლობა ჰქონდა ატრაქციონებითა და საბავშვო რკინიგზით უფასოდ ესარგებლა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა 1935 წლის 24 ივნისს გაიხსნა. 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით პარკში დაგეგმილი იყო სხვადასხვა გასართობი ღონისძიება, რაც თბილისში მომხდარი სტიქიის გამო გადაიდო.

თბილისის მერიისა და მუშტაიდის პარკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, იუბილე სტიქიით დაზარალებულ ბავშვებთან ერთად აღინიშნა.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები პარკში თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კარლო ლაფერაძემ მიიყვანა.

დაკარგულების ცხედრებს მტკვარში ეძებენ

თბილისიდან რუსთავამდე მონაკვეთზე სამი ცხედრის ძიებაში ჩართულია სამაშველო სამსახურის 8 წარმომადგენელი.

მათი ცნობით, ცხედრების ძიება მიმდინარეობს ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც. სპეცტექნიკასთან ერთად, საძიებო ღონისძიებებს მყვინთავები ახორციელებენ.

წკეპლიკა

კანონგარეშედ უნდა გამოცხადდნენ!

სტიქიური უბედურება, რომელიც თავს დაატყდა თბილისს, შედეგია პოლიტიკისა, რომელსაც წლების მანძილზე ახორციელებდა ნაციონალური პარტია, მიზანდასახულად რომ ებრძოდა მეცნიერებას, ყურად არ იღებდა პროფესიონალთა რჩევებს „ვიწრო პარტიული და პირადი ინტერესებით, საზოგადოებრივი ცნობიერების არარსებობით ანგრევდა ქვეყანას.

ისინი სულის საშინელი სენით — ძალაუფლებისკენ სწრაფვით არიან დაავადებულნი. მათმა საქციელმა ნიცშეს სიტყვები მომაგონა: „ისინი ტახტისკენ ისწრაფვიან, ესაა მათი შეშლილობა. შეშლილები არიან, მცოცავი მაიმუნები, დასიცხულნი, სიმყრალით სავსეა კრებული მათი“.

ნაციონალური პარტიის წარმომადგენლები მოუნანიებლად აგრძელებენ ყელყელაობას, თუმცა, ეს გასაკვირი არ არის, ნაციონალური პარტია ხომ დამნაშავეთა პარტიაა, ისინი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, გამოცხადდნენ კანონგარეშედ.

ლონდა მდივანი

კომპლექსური დანაშაული

გიორგი გაჩეჩილაძე: სააკაშვილმა კანონმდებლობა დაანგრია და გაანადგურა!

საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის წევრი, „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე დედაქალაქში მომხდარი სტიქიის შედეგებზე პასუხისმგებლობას ყოფილ ხელისუფლებას აკისრებს. ამის შესახებ გაჩეჩილაძე „რეპორტიორს“ ესაუბრა და აქვე დასძინა, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ კანონმდებლობა დაანგრია და საკუთარ სურვილებს მოარგო.

„ჩემი მეგობრებისგან მოვისმინე, რომ 5 წუთის მანძილზე იქ ორი ტალღა იყო, მეორე ტალღის სიმაღლე 10-12 მეტრი იყო. ამაზე რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხი, ბუნებრივია სრულად გადადის წინა ხელისუფლებაზე. მთელი საქართველოს მასშტაბით არის ყოფილი ხელისუფლების მიერ აშენებული შენობები და ეს ყველაფერი საკმაო საფრთხის შემცველია. არ ვიცით, რამდენი ნაღმი დაგხვდება წინ.

ის კანონმდებლობა, რომელიც გარემოს დაცვის სფეროში მოქმედებდა, ჩვენი შექმნილი იყო, „მწვანეთა პარტიის“ ნააზრევი იყო, მაგრამ სააკაშვილმა დაანგრია და გაანადგურა სწორედ იმ მიზნით, რომ ამდაგვარი მშენებლობები ეწარმოებინა. თუმცა, გაეპარათ რაღაც-რაღაცები, რომელსაც, ალბათ, პროკურატურა მოკიდებს ხელს. ეს არის წყლის კანონი, რომელიც პირადად ჩემი გაკეთებულია, ეგ კანონიც დაამახინჯეს, მაგრამ იქ დარჩა სერიოზული საკითხები. მაგალითად, მდინარეებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მდინარეებს გაიჩინიათ თავიანთი დაცვითი ზონები, ანუ მდინარის კალაპოტიდან გარკვეულ მანძილზე მშენებლობა აკრძალულია. ამ შემთხვევაში, მდინარე ვერეს კალაპოტის გარშემო 30 მეტრზე მშენებლობა დაუშვებელია. ეს, რა თქმა უნდა, დარღვეულია. ასევე დარღვეულია სამშენებლო საქმიანობის შესახებ კანონი და მასთან დაკავშირებული მთავრობის დადგენილებები, რომელიც განსაზღვრავს პროცედურებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ამგვარი მშენებლობები. აქ მარტო ქალაქის მერიისა და არქიტექტურის სამსახურის პასუხისმგებლობაზე არაა ლაპარაკი. აქ იკვეთება გარემოს დაცვის მაშინდელი მინისტრის დანაშაული. ეს გახლავთ კომპლექსური დანაშაული, რომელმაც ამხელა მსხვერპლი გამოიწვია. ყოველთვის ვამბობდი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაანადგურა მთელი კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა. **ეს დანაშაული რეალურად უნდა გასამართლდეს. განსაკუთრებით ჩვენს დარგში გვაქვს ძალიან ცუდი მემკვიდრეობა. ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის შემდეგ, საქართველო დანაღმულ ველად იქცა. სად როდის აფეთქდება რაღაც და რა მსხვერპლს მოიტანს, კაცმა არ იცის“,** — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მალხაზ მდინარაძე

◎ კანონმდებლები

მსოფლიო ბანკმა და სსფ-მა პარლამენტს კბილი მოუსინჯეს

დღეიდან პარლამენტში საბანკო ზედამხედველობის ეროვნული ბანკიდან გამოყოფის საკითხის განხილვა იწყება. თბილისის სტიქიამ ამ საკითხზე მსჯელობა შეაყოვნა, მაგრამ უმრავლესობას აზრი არ შეუცვლია. სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციის შესარბილებლად იმყოფებოდნენ საკანონმდებლო ორგანოში სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელებთან მათი საიდუმლო საუბრის დეტალები არ გახმაურებულა.

კანონპროექტის ავტორებს **თამაზ მეჭიაურს** და **ნოდარ ებანოიძეს** საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი **აზიმ სადიკოვი** და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი **ჰენრი კერალი** შეხვდნენ. პარლამენტი სადიკოვმაც და კერალმაც უკომენტაროდ დატოვეს.

შეხვედრის დეტალებზე საუბრისაგან თავს იკავებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურიც:

„ჩვენი საუბარი გაცნობითი ხასიათის იყო. რაც კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, მათ არ შევხვედრივარ, მანამდე კი არ ვიცნობდი. ელემენტარულად მოხდა გაცნობა“, — განაცხადა მეჭიაურმა.

კითხვაზე, იყო თუ არა მსჯელობის საგანი ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის საკანონმდებლო პროექტი, პარლამენტარმა განაცხადა, რომ ესეც ერთ-ერთი საკითხი იყო, რომელზეც იმსჯელეს.

„მოდი, დეტალებისგან თავი შევიკავოთ. შეხვედრა კონფიდენციალური გახლდათ. შემიძლია ვთქვა, რომ უფრო პოზიტიურია ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება იმასთან შედარებით, ვიდრე დაიწყო“, — განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ.

მოგვიანებით აზიმ სადოკოვი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს, დეპუტატ დავით ონოფრიშვილს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ონოფრიშვილმა განაცხადა, ძირითადად, არც სავალუტო ფონდი, არც ევრობანკი და არც მსოფლიო ბანკი ეროვნული ბანკის შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს მხარს არ უჭერს. **„ვერც ერთ მთავრობას ვერ დააძალებენ“.**

თუ უნდათ, რომ შეცდომა დაუშვან, ეს უკვე ხელისუფლების არასწორი ნაბიჯი იქნება. გვახსოვს, წინა ხელისუფლებამ იგივე გააკეთა და შემდგომ, ორი წლის შემდეგ, პოზიცია შეცვალეს, რადგან არასწორი იყო ის, რაც განახორციელეს. ახლაც იგივე ხდება.

ძნელად აღსაქმელია, რომ წარმოდგენილმა საკანონმდებლო ცვლილებამ რაღაც რადიკალურად შეცვალოს და ბანკებზე მონიტორინგი გააუმჯობესოს.

პირიქით, პირველი პრობლემაც შეიქმნება, იქნება ის, რომ ეროვნული ბანკი დასუსტდება. ნებისმიერ ცვლილებას — ეხება ეს გაყოფას თუ შეერთებას — სჭირდება დრო, რომ ახალ გარემოს მიესადაგოს. მეორე საკითხია, ეს კარგად იმუშავებს თუ ცუდად“, — აღნიშნა ონოფრიშვილმა.

დღის ბოლოს კი შეხვედრების ადგილმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაინაცვლა და სავალუტო ფონდის წარმომადგენელს

გიორგი მარგველაშვილის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში **გიორგი აბაშიშვილი** შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი აბაშიშვილმა განუცხადა, სადიკოვთან შეხვედრის ძირითადი თემა იყო ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფის საკითხი.

„ჩვენ შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე და ორივე ვთანხმდებით, რომ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა არის უმნიშვნელოვანესი და მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა. ასევე, გავეცანით და განვიხილეთ მიმდინარე ცვლილებების შესაძლო გავლენა ეროვნულ ბანკზე. სადიკოვს გავაცანი ჩვენი ხედვა აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით. ჩვენ ამ კანონს მკვეთრად ნეგატიურად ვაფასებთ.

გარდა ამ კანონისა, შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც მომავალში, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ეროვნულ ბანკთან, იქნება ეს ბანკის საბჭოს დაკომპლექტება თუ სხვა საკითხები“, — განაცხადა აბაშიშვილმა.

ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ სტრუქტურად გამოყოფასთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. ახალი სააგენტო დამოუკიდებელი ორგანო იქნება და მისი 7-წევრიანი საბჭოს დაკომპლექტებაში პრეზიდენტი აღარ იქნება ჩართული.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

დემაგოგი ნაციონალები და მათი ქვეშაფსია ლიდერი

პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე ერთმანეთს უმცირესობის დეპუტატი სერგო რატიანი და უმრავლესობის წევრი ზაზა პაპუაშვილი დაუპირისპირდნენ.

სხდომაზე „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებს განიხილავდნენ. უმცირესობის დეპუტატმა სერგო რატიანმა კომიტეტის წევრებს ძველი პერიოდი შეახსენა, როდესაც განათლების სისტემაში კორუფცია სუფევდა, ხოლო როინ მეტრეველი ჯავახიშილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. რატიანის თქმით, სწორედ ამ პერიოდში განათლების სისტემაში 50 მილიონი ლარი ქრთამის სახით ტრიალებდა.

„როინ მეტრეველი მოიყვანეთ თქვენ უკან აკადემიაში. რაზეა აქ საუბარი. ხდებოდა ეს განათლების სიტემაში, სადაც 50 მილიონი ქრთამის სახით ტრიალებდა და ეს წინა ხელისუფლების დროს მოისპო. ამ დროს იქ როინ მეტრეველი იყო ხელმძღვანელი“, — აღნიშნა სერგო რატიანმა კომიტეტის სხდომაზე. **რატიანის ამ განცხადებას ზაზა პაპუაშვილი გამოეხმაურა. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა დემაგოგიას ეწევა და მისი ლიდერი „ქვეშაფსიაა“.**

„ჭაობში თქვენ დაწიეთ ქვეყანა და გაანადგურეთ. ხალხი დახოცეთ. როინ მეტრეველის განათლებამდე ვერასოდეს მიხვალთ. დემაგოგიამდე მიდიხართ ახლა კომიტეტის სხდომაზე. ეს არის ნაციონალური მოძრაობა. ქვეყნიდან გაქცეული ქვეშაფსია პრეზიდენტის ხალხი გყავდათ ხელისფლებაში. გაქცეული ქვეშაფსია პრეზიდენტია თქვენი ლიდერი. ნუ არღვევ ატმოსფეროს და ჯობია, კანონზე ილაპარაკო“ — განაცხადა პაპუაშვილმა, რასაც კომიტეტის სხდომაზე ხმაური მოჰყვა.

ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს არ გამოეყოფა

დეპუტატ ზურაბ ტყემალაძის გაცხადებით, ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფა არ ხდება და ის ისევ მის დაქვემდებარებაში რჩება.

„ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახური არსად არ მიდის. ის მის დაქვემდებარებაში რჩება. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები არა მარტო კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან, არამედ ასოციაციის წარმომადგენლებთანაც. კანონპროექტთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნებია შემოსული და იმედია ავტორები გაიზიარებენ მას. მეც მაქვს შენიშვნები. საბოლოოდ კი, მივიღებთ ისეთ კანონს, რომლითაც დაცული იქნებიან მეანაბრეები. ხელშეწყობა ექნებათ ასევე კომერციული ბანკების წარმომადგენლებსაც“, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფასთან დაკავშირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებს იწყებს.

არგენტინის შემდეგ ურუგვაი...

სამხრეთ ამერიკის ტურნეს ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი პირველი ოფიციალური ვიზიტით ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა შეხვედრა გამართა ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრთან, როდოლფო ნინ ნოვოასთან. ურუგვაელ კოლეგასთან შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ორი ქვეყნის თანამშრომლობას პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში, დაისახა ორმხრივი დიალოგის შემდგომი გაღრმავების პრიორიტეტული მიმართულებები.

შეხვედრის ფარგლებში მინისტრებმა ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის ორდინალური პასპორტის მფლობელი მოქალაქეებისთვის ვიზის აღების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება ძალაში შევა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ.

საუკეთესო სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებს შორის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს შორისაა სტუდენტური საერთო საცხოვრებლი, რომლის რეაბილიტაციაც დასრულდა და უკვე ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს სტუდენტებს. სასტუმრო ევროპულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ტიპის სტუდენტურ საცხოვრებლებს შორის.

ზუგდიდის უნივერსიტეტში 1000-მდე სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას. სტუდენტთა 40% -ზე მეტი სოციალურად დაუცველი და აფხაზეთიდან დევნილია, პირველ რიგში სწორედ მათ მოემსახურება უფასოდ თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებელი. აქ იცხოვრებენ ასევე გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უცხოეთიდან ჩამოსული პროფესორები.

ინტერპრესი

◎ სიახლე

თუ მოკლევადიანი შენგენის ვიზის მიღება გსურთ

შენგენის ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა შესაბამისი ქვეყნის საელჩოში ბიომეტრიული მონაცემები უნდა წარადგინონ. ახალმა წესმა, რომელიც 23 ივნისიდან შევიდა ძალაში, საბუთების წარდგენის პროცესში ცვლილება გამოიწვია — ამიერიდან ყველა განმცხადებელი ვალდებულია, საელჩოში პირადად წარსდგეს, რათა საკუთარი ბიომეტრიული მონაცემები წარადგინოს: თითის ანაბეჭდები და ციფრული ფოტო. ეს ცვლილება ძირითადად მოკლევადიანი ვიზების მიღების მსურველებს შეეხებათ.



ანკეტას უნდა ერთვოდეს ე.წ. ბიომეტრიული ფოტოები, რომლის გადაღებაც ნებისმიერ ფოტოატელიეშია შესაძლებელი, თუ აუცილებელ მოთხოვნებს წარუდგენთ — ზომა 3,5X4,5 სმ, ანფასში, თეთრ ფონზე გადაღებული.

მონაცემები ძალაში იქნება 5 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ყველა დოკუმენტი შეინახება საერთო სავიზო საინფორმაციო ერთიან სისტემაში, პერსონალური ინფორმაციის დაცვის ევროპული სტანდარტების მიხედვით.

მოქალაქე, რომელიც შენგენის ზონის რომელიმე საელჩოში ერთხელ ჩააბარებს თითის ანაბეჭდებს, 5 წლის განმავლობაში შეძლებს ვიზის მიღებას ტურისტული სააგენტოს ან საელჩოს ელექტრონულ ფოსტაზე განაცხადის გაგზავნის საშუალებით.

თითის ანაბეჭდების აღება არ არის აუცილებელი 12 წლამდე ბავშვებისთვის და იმ პირებისთვის, რომლის თითის ანაბეჭდის აღებაც შეუძლებელია; ასევე, სახელმწიფოს მეთაურებისთვის, მთავრობის წარმომადგენლებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის.

ბიომეტრიულ მონაცემებზე უარის თქმის შემთხვევაში, მოქალაქე შენგენის ვიზას ვერ მიიღებს.

მათთვის, ვისაც შენგენის ვიზა უკვე აქვთ, ახალი ვიზის მიღება საჭირო არ იქნება. ძველი საბუთები ძალაში რჩება. ვიზის ღირებულება არ იცვლება.

ნებისმიერ პირს აქვს უფლება, საკუთარ თავზე მიიღოს ინფორმაცია საერთო სავიზო საინფორმაციო ერთიანი სისტემიდან იმ საელჩოში, რომელმაც ეს მონაცემები ბაზაში შეიტანა.

ასევე, მოქალაქეს შეუძლია, მოითხოვოს ბაზაში არსებული არასწორი ინფორმაციის შესწორება ან არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის ამოღება.



დავეხმაროთ პარლამენტარებს ბიზნესის კეთებაში!

ჩვენი პარლამენტის სპიკერი, ნიადაგ მშვიდი და აუღელვებელი დავით უსუფაშვილი იმ დღეს როგორღაც გაცეცხლებული ჩანდა. ჩვენი დეპუტატების გადამკიდე, ან აქამდეც როგორ ითმენდა იმას, რასაც ითმენდა. აქაოდა წინდაუკან, თბილისიდან ქუთაისში და ქუთაისიდან თბილისში გვიწევს სირბილი დარეტიანებული ქათმებივითო, პარლამენტარებმა სულ აიშვეს თავი, თვე ისე გაივლის, ზოგი იმათგანი ერთხელაც არ შეიხედავს საკანონმდებლო ორგანოში. საქმე იქამდე მივიდა, რომ პარლამენტში დეპუტატთა დაუსწრებლობის გამო სხდომებიც ვეღარ ჩაუტარებიათ.

ჰოდა, კანონმდებელთა თავკაცი, რომელიც მოძალებულ საქმეთა გამო ერთთავად „ცაიტნოტში“ იმყოფება, იძულებული შეიქმნა, გაცდენები დაეთვალა და „შატალოს“ მოყვარულთა გვარები პარლამენტის სხომაზე საჯაროდ გაეხმაურებინა. დავით უსუფაშვილმა ამ შემთხვევაშიც დიდსულოვნება გამოიჩინა და გამცდენთა სიიდან მხოლოდ იმათი გვარები ამოიკითხა, რომელთაც „ოჯახური მდგომარეობის გამო“ პარლამენტის სხდომა 60-ზე მეტჯერ გააცდინეს. ასეთთა ათეულში „რეკორდული მაჩვენებლით“ (101 გაცდენა) პირველი ადგილი დაიკავა ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ნაყოფიამ, რომელსაც, სპიკერის თქმით, „ყველაზე მძიმე ოჯახური მდგომარეობა“ აღმოაჩნდა.

ეთქვათ ამ ადამიანებს თუ ასეთი ოჯახური პრობლემები ჰქონდათ და მთელი პარლამენტი გვერდით დავუდგებოდითო, გაამხნევა სპიკერმა კოლეგები. დეპუტატებს ეს ხუმრობად რომ არ აღექვათ, იქვე განაცხადა, რომ ამიერიდან ოჯახური პირობების თუ მდგომარეობის გამო მათ გაცდენები საპატიოდ აღარ ჩაეთვლებათ. არასაპატიო გაცდენა კი დასჯადია და დეპუტატებს ხელფასი ექვითებათ.

ოჯახური პირობების გამო პარლამენტის სხდომის გაცდენას საპატიო მიზეზად დიდი ხანია, არ მიიჩნევს დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე. მან ამ წესის გაუქმება ადრეც მოითხოვა, მაგრამ ვინ დაუჯერა. დავით უსუფაშვილს, ეტყობა, სჯეროდა, რომ საწყალ დეპუტატებს რომლებიც თბილისიდან ქუთაისში ყოველდღიურ „მარათონს“ გადიან, მართლაც ჰქონდათ ოჯახური პრობლემები. ეს უკანასკნელნი კი ნამუსშეუბღალავად იყენებდნენ დეპუტატის ამ „იმუნიტეტს“ საკუთარი ბიზნესისა თუ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ გაუგებრობაში, რაც საპარლამენტო სხდომების გაცდენებთან დაკავშირებით „საპატიო“ თუ „არასაპატიო“ მიზეზების ძიებას მოჰყვა, მარტო გამცდენი პარლამენტარები როდი ტყუიან. ის, ვინც ამ მიზეზებს სწავლობდა, ხომ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ პარლამენტი ბიზნესმენებით არის გამოტენილი და მათ თუ მთელი დრო სხდომებზე თვლემაში გაატარეს, საკუთარი ბიზნესი ხომ ჩაუვარდებათ. ასევე, მსახიობებს და რეჟისორებს სპექტაკლები ჩაუვარდებათ, სპორტსმენებს — საწვრთნელი ვარჯიშები, მოქეიფე პოლიტიკოსებს — დილის ხაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამიტომ, ვფიქრობ, ახლაც არ იქნება დაგვიანებული, თუ პარლამენტში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ პროფესიათა გათვალისწინებით, პლენარული სხდომების გაცდენის „საპატიო მიზეზთა“ ახალ ნუსხას შეიმუშავებს.

ავიღოთ, მაგალითად, რეკორდსმენ გამცდენად მოხსენიებული მაჟორიტარი კობა ნაყოფია, რომელსაც ბიზნესის კეთებას საპატიო მიზეზად თუ ჩავუთვლით, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დალაგდებოდა, თვითონაც გამოძვრებოდა უხერხული სიტუაციიდან და პრობლემა პარლამენტის სპიკერსაც თავისთავად მოეხსნებოდა. არადა, ხომ ყველა ვხედავთ, 800 მილიონ დოლარად შეფასებული ქონების პატრონი ნაყოფია, ამხელა ბიზნესი რომ არ ჩაუვარდეს, რა არაადამიანურ გაწამაწიაშია. მართალია, 2004-2008 წლებში სააქციო საზოგადოება „მადნეულის“, ხოლო 2006-2008 წლებში შპს „კვარციტის“ თავკაცობის პერიოდში მან უმდიდრესი საბიზნესო გამოცდილება დააგროვა, ამჯერად კი, კანონის დარღვევა რომ არ გამოუვიდეს (კანონით პარლამენტარს ბიზნესის კეთება ეკრძალება), საქართველოში, ამერიკასა და ვირჯინიის კუნძულებზე მოქმედი საკუთარი კომპანიები შვილის ნიკოლოზ ნაყოფიას სახელზე გადააფორმა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ხნიერი ხარისა რქანიც ეწევიანო და ბატონი კახაც ერთთავად იმ უბნებს დასტრიალებს, სადაც ყველაზე მეტი გასაჭირია. აბა როგორ, ასე თუ არ იმარჯვა, ბიზნესი გაუბერწდება, თავადაც გაკოტრდება და იქიდან კუთვნილი შემოსავალი ბიუჯეტსაც დაეკარგება.

მსგავს გასაჭირშია დავით ბეჟუაშვილი, რომელიც უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია (ყველაფერმა მიჩვევა იცის!). დეპუტატის ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ის 1994 წლიდან ოფშორულ ზონაში, მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზე რეგისტრირებული ორი კომპანიის პარტნიორია, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს ფლობს. ამ ჯგუფის საკუთრებაა 8 ჰიდრო და თბოელექტროსადგური, შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ტყიბულში ძიძიგურისა და მინდელის სახელობის ქვანახშირის საბადოებს ფლობს, შპს „ტიფლის სითი“, ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა, „ქართული ლუდის კომპანია“ და რა აღარ. კიდევ ჩამოვთვალო? მე ჩამოთვლა მიჭირს და ამდენ კომპანიაში ბიზნესის დალაგების შემდეგ როგორ ფიქრობთ, ბატონ დავითს, რომლის ქონება დაუზუსტებელი ინფორმაციით, 1 მილიარდ დოლარს აღემატება, კიდევ შერჩება ოფსილა ქუთაისში საწანწალოდ და პარლამენტის სხდომებზე დასასწრებად?! (ამიტომაც დაუგროვდა 74 გაცდენა!).

აღარ გავაგრძელებ იმ პარლამენტართა სიას, რომელთა მიერ ბიზნესის კეთება და რიგი სხვა „სასარგებლო“ საქმიანობა „არასაპატიო მიზეზად“ მოიხენიეს. ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა,

ფრიად საჭირო და საგულისყურო მიგნება



1901 წლის „ცნობის ფურცლის“ (№1602) გვერდებზე ა. ჯორჯაძე, ზ. ავალიშვილის წიგნზე, „საქართველოს მიერთება რუსეთთან“, წერდა: კარგი წიგნი იშვიათი მოვლენაა, სწორედ ამნაირია ზ. ავალიშვილის ნაშრომი. მისი აზრით, ნებისმიერი ავტორი თავისი საგნის შესწავლას მეცნიერული მეთოდით უნდა უდგებოდეს, მეცნიერება ხომ მოვლენის მიუკერძოებელი შეგნება და დაფასებაა. თუ ჩვენც ამ კრიტერიუმებით შევაფასებთ, ცოტა ხნის წინათ, კერძოდ, 2014 წელს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ ეგიდით პროფესორების: ჯემალ გახოკიძისა და სოფო მიდელაშვილის ავტორობით გამოცემულ ნაშრომს, ფრიად სიმპტომატური სათაურით — „ჰონკონგი, ჩინეთი — 1997“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი წიგნია, რომელიც მრავალი ასპექტით არის ჩვენთვის საინტერესო, უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ მასში განხილული და დახასიათებულია უნიკალური პრეცედენტი — ჩინეთში ჰონკონგის მშვიდობიანად დაბრუნების შესახებ.

შემთხვევით არც ზ. ავალიშვილის წიგნი და არც ა. ჯორჯაძე გაგვხსენებია. საქმე ისაა, რომ ჩვენი ხელისუფლების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, თანამეგობრობის ძალისხმევის თუ სხვა მრავალი საერთაშორისო ინსტიტუციის გულწრფელი სურვილის მიუხედავად, სასიკეთო პირი არ უჩანს ჩვენი დიდი ტკივილის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დადებითი გამოცდილება ამ სფეროში ჩვენთვის მნიშვნელოვანი და გასააზრებელია, როგორც ავტორები აღნიშნავენ, **„მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონფლიქტის ჰონკონგის მსგავსად გადაწყვეტის როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების ანალიზი და შესაძლებელი პარალელების გავლება, მსგავსებებისა და განსხვავების ძიება საქართველოსა და მის განდგომილ რეგიონებთან მიმართებაში“ (ხაზგასმა ავტორებისაა).**

მოკლედ შევეხოთ ჰონკონგის პრობლემას.

ცნობილია, რომ ჰონკონგი იყო ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი უძველესი დროიდან, რომლის ოკუპაცია მოახდინა დიდმა ბრიტანეთმა 1840 წელს ე.წ. ოპიუმის ომის შემდეგ, და მომდევნო 155 წლის განმავლობაში მოწყეტილი იყო დედასახელმწიფოს. ჩინელი ხალხის მრავალწლიანი მისწრაფება ჰონკონგის დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდა მეოცე საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას და დაადასტურეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღიდგენს ჰონკონგზე იურისდიქციას 1997 წლის პირველი ივლისიდან. ამიერიდან ამ ტერიტორიას ეწოდა „ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი“.

1984 წლის 19 წლის დეკემბერს ხელი მოეწერა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივ დეკლარაციას ჰონკონგის თაობაზე და ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციას, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 ივლისიდან.

დეკლარაციის პირველი დანართით განსაზღვრულია,რომ ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს „ჰონკონგის ჩინეთის“ სახელის გამოყენებით შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს ურთიერთობები, გააფორმოს ხელშეკრულებები ხელისუფლებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკის, ვაჭრობის, ფინანსურ, სავალუტო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტურიზმის, კულტურის, სპორტის სფეროში. რაც არ ეხება საგარეო და თავდაცვის სფეროებს, ისინი ცენტრალური მთავრობის კომპეტენციაა.

შეუძლებელია, არ გაგვიჩნდეს კითხვა — **რამდენადაა შესაძლებელი ერთ სახელმწიფოში ორი დიამეტრალურად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მძლონე სუბიექტის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის თანაცხოვრება?** საქმე ის არის, რომ როდესაც 1981 წელს ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ჰონკონგის შემოერთების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება დააფუძნა იდეალზე — „ერთი სახლემწიფო, ორი სისტემა“ — ეს უნდა გამხდარიყო ჰონკონგის შემოერთების მთავარი გასაღები, რითაც მოიხსენებოდა პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ყველა პრობლემა.

ჩინეთის სახელმწიფო ლიდერის დენ სიაოპინის ამ იდეამ გაამართლა.მას კარგად ესმოდა, რომ ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში ჰონკონგის ინტეგრირებას მისი საბაზრო ეკონომიკის გამო გარკვეული დრო სჭირდებოდა.ეს დრო 50 წლით განისაზღვრა. ამ ვადით განისაზღვრა გარანტია ჰონკონგის კაპიტალისტურ სისტემაში ჩაურევლობის შესახებ. ჰონკონგის კონსტიტუციის პრეამბულაში პირდაპირ არის ჩაწერილი: “ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ჰონკონგისათვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, მისი ისტორიის და რეალობის გათვალისწინებით და ჩინეთის კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე დაარსდეს ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი პრიციპით — „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“. როგორც ვხედავთ, ასეთმა მიდგომამ მთლიანად გაამართლა.

დღეს ჰონკონგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ცენტრი. საბანკო დაწესებულებების რაოდენობის მიხედვით ის პირველობას მხოლოდ ლონდონსა და ნიუ-იორკს უთმობს. მას უწოდებენ საგადასახადო სამოთხეს. მის ოფშორულ კომპანიებს მრავალი საგადასახადო და სხვა სახის შეღავათი აქვს. შემთხვევით არ დაიმკვიდრა „აზიური ვეფხვის“ სახელი. დიდია ინტერესი ჩინეთის მოსახლეობის მხრიდან იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლათან დაკავშირებით. დაწესდა შეზღუდვა — ჰონკონგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში შესაძლებელია, დაუშვან 1,6 მილიონი ჩინელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიღებული შედეგების გათვალისწინებით ჩინეთის მიერ ჰონკონგის შემოერთებამ გაამართლა და ეს ნაბიჯი უნდა განიხილონ როგორც უაღრესად წარმატებული და სამაგალითო მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში.

რა შეიძლება კიდევ ითქვას? ოპტიმიზმი, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ გადაჭარბებული დოზით, ალბათ, არ ივარგებს. საქმე ის არის, რომ ჰონკონგის შემთხვევაში საქმე ერთ ნაციას, ეთნიკურ ჯგუფს ეხებოდა და ამდენად, მათ შორის კონტაქტი, ურთიერთდამოკიდებულება არც არასდროს განელებულა. ამას სოციოლოგიური გამოკითხვაც დაადასტურებდა და სხვა მრავალი გარემოებაც. ეს ერთი. მეორე — ამას რამდენად მოინდომებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები, რუსები, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ამიტომ აფხაზებმა უნდა გააცნობიერონ, რომ გლობალურ სივრცესა და წნეხში მათი მომავალი ეჭვქვეშ დგება. საქართველოსთან ერთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში ცხოვრება კი მათი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიაა. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც — ორი უდიდესი სახელმწიფოს - ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის, „ჯენტლმენი“ ქვეყნების პოლიტიკური ნება და სურვილი. ჩვენ შემთხვევაში მსგავსი როლის შესრულება, ალბათ, რუსეთს დაეკისრებოდა. რამდენად შეიძლება ამ ქვეყნის იმედად ყოფნა ამ საქმეში, მკითხველმა განსაჯოს. **მიგვაჩნია, რომ ჰონკონგის (ჩინეთის) გამოცდილების გათვალისწინება ჩვენთვის საჭიროც არის და აუცილებელიც, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველობა ვერასდროს შეეგუება ძირძველი ქართული მიწების — აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) დაკარგვას.**

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. ეს იქნება ხანგრძლივი წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი, მრავალი საფეხურის და ეტაპისგან შემდგარი. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად დაახასიათეს და გააანალიზეს ეს რთული გზა (მონაკვეთი, „მოლაპარაკებათა რაუნდები“), რომელიც ხელისუფლების გონივრული პოლიტიკით, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ღვთის შეწევნით, საქართველოსაც გასავლელი აქვს.

გულითადი მადლობა წიგნის ავტორებს ამ ფრიად საჭირო და საგულისყურო მიგნებისთვის.

გივი ლოგჟანიძე,
პროფესორი

◎ კაკალ გულში

წარცილოჯანი ოჯახები

● **„ჩვენ ვიქნებით ყველაზე ძლიერი პარტია, რომელიც შევა პარლამენტში“**

ირაკლი ალასანია.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

● **რაღაცას ვაკეთებ და თურქული სერიალია ტელევიზორში. თვითონ სერიალი ძალიან დაბალი დონისაა, მაგრამ ერთი ფრაზა მომხვდა ყურში, რაშიც ჭეშმარიტება დავინახე: ადამიანი, მეუღლეს რომ დაკარგავს, „ქვრივს“ ეძახიან, მშობელს რომ დაკარგავს — „ობოლს“, ხოლო შვილის დამკარგავს, სახელი არა აქვს!**

● **მეტსახელები, ე.წ. კლიჩკების დარქმევა, ქართველებს ხელოვნებამდე ჰყავთ აყვანილი, არ გჯერათ და აგერ რამდენიმე მათგანი კახეთიდან და იმერეთიდან. შეგიძლიათ, თქვენც დაამატოთ;**

„ცოტა“ გივია — მარცხენა ხელი და ფეხი არ აქვს.

„მლაშე“ ვანო — ხუთჯერ იხრჩობოდა ზღვაში

„ გოჩა„ თამაზა — შემთხვევით თოფი გაუვარდა და თავისი შვილი მოკლა (სევისბ). „ტყუილად დალი“ — სამჯერ გათხოვდა და შვილი არ ეყოლა

„ორხელა“ გოგია — იმ სოფელში კიდევ ერთი გოგიაა, ცალი ხელი აქვს და იმას ვერ გაუბედეს ცალხელას დარქმევა.

„ჩაპლინა“ — ყრუ-მუნჯია დაბადებით.

„ჩარიდუ“ — მარცხენა ხელზე ოთხი თითი აქვს, მარჯვენაზე ორი.

„ტურისტი“ მახოია — ზურგზე კუზი აქვს და თითქოს ზურგჩანთა აქვს მოკიდებული.

„უკარება“ თენგო — ორჯერ დაეცა მეხი და გადარჩა.

„მთელი“ ლიზიკო — 80 წლისაა და გაუთხოვარი.

„არკა“ გია — წინა ორი კბილი არ აქვს.

● **ხომ არ იცით, როგორ არის „გადადექი!!!“ და „სეროჟ, მოვდივარ!!!“ სომხურად?**

● **მინდია ჯანელიძეზე შეტევა ნაციონალების და პარლამენტში მათი სატელიტი რესპუბლიკელებისა თუ რესპუბლიკურ-ნაციური პატრონატის მქონე არასამთავრობო „კაპიტან გიგაური-გრანტის შვილების“ და ასევე მათ მიერ მართული მედიაზონდერების მხრიდან, მაფიქრებინებს, რომ ეს კაცი არ არის დაკავშირებული იმ ერთიან ცენტრთან, რომელიც გეგმაზომიერად ოდესიდან იმართება. მიუხედავად დიდი მცდელობისა, გააშავონ ეს ახალგაზრდა კაცი, ჩემი აზრით მისი და მთელი მისი გუნდის ქმედება ამ ძალიან რთულ სიტუაციაში ადეკვატური და მაქსიმალურად ორგანიზებული იყო იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც ჩვენს სახელმწიფოს დღეს აქვს!!!**

ასე არ გამოვა, ბატონებო, კაცს დაებრალო ყველა ის ხარვეზი, რაც მას არ შეუქმნია და ყველანაირად ცდილობს, რომ გამოასწოროს, ეს უბრალოდ, უნამუსობაა!!!

„ზოოპარკის დირექტორის მოწმეები“ კი ჩვეულებრივი შეფარული მიშმადიდებლური სექტაა!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ინტერპოლით ძებნილი ექსტრადირებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2015 წლის 23 იანვარს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 2011 წლის 13 სექტემბრიდან ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ალირეზა ალ საზეგარი დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, ინტერპოლის ინფორმაციით, ალირეზა ალ საზეგარი ხასიათდებოდა სახიფათო და ძალადობისკენ მიდრეკილ პირად. ის ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე იძებნებოდა. ალირეზა ალ საზეგარს ბრალად ედება ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 273.5(ა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის ცემას, რომელმაც გამოიწვია სხეულის დაზიანება, გატაცებას, დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას იძულებით და/ან მოტყუებით, მოწმისათვის დანაშაულის გამჟღავნების ხელის აღებას.

ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირის იდენტიფიცირების შემდეგ, საქართველოს მთავარი პროკურატურა აშშ-ის საელჩოს იურიდიულ მრჩეველს, გამოძიების ფედერალური და დიპლომატიური უსაფრთხოების ბიუროებს დაუკავშირდა, რათა დაედასტურებინა იყო თუ არა ძალაში დაპატიმრების ორდერი და საჭირო იყო თუ არა პირის აშშ-ში ექსტრადირება. ამერიკის საელჩომ საქართველოს პროკურატურას შეატყობინა, რომ დაპატიმრების ორდერი კვლავაც ძალაში იყო. ამის შემდეგ, შსს-ს თანამშრომლებმა ალირეზა ალ საზეგარი წინასაექსტრადიციო საპატიმროში გადაიყვანეს.

ისლამური სახელმწიფოს კავკასიის ემირატი

არსებობს თუ არა „ისლამური სახელმწიფოს“ საფრთხე“? — ეს კითხვა უკვე საკმარისად ლეგიტიმურია. მისი საზღვრები საქართველოს სულ უფრო უახლოვდება. „ფრანს პრესი“ იუწყება, რომ მებრძოლებმა დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან და ყაბარდო-ბალყარეთის რეგიონებიდან ერთგულება შეჰფიცეს „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერს ხალიფა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადს. ამასთან, „ომის შესწავლის ინსტიტუტი“ აზუსტებს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ახალი ვილაიეთის დაარსება ჩრდილო კავკასიის, რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა“, — წერს „დოიჩე ველეც“. როგორც ცნობილია, რადიკალთა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ სირიისა და ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილი 2014 წელს დაიკავა.

„ჩვენ ვადასტურებთ, რომ ყველა კავკასიელი მოჯაჰიდი ამ გადაწყვეტილებაში ერთიანნი ვართ და ამ საკითხზე ჩვენს შორის რაიმე უთანხმოება არ არსებობს“, — ნათქვამია რუსულ და არაბულენოვან აუდიოჩანაწერში, რომელიც YouTube-ზე გავრცელდა. კავკასიელი მებრძოლების ამ გადაწყვეტილებას გამოხმაურება უკვე მოყვა „ისლამურ სახელმწიფოში“ და მისი ლიდერები კავკასიელ მებრძოლებს მიესალმებიან. „ჩვენ ვულოცავთ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს კავკასიაში, ხალფატთან ალიანსში შესვლას. ჩვენ ვიღებთ თქვენთან კავშირს და შეიხ აბუ მოჰამედ ალ-ყადარის კავკასიის მმართველად ვასახელებთ“, — განაცხადა „ისლამური სახელმწიფოს“ სპიკერმა აბუ მუჰამედ ალ-ადნანიმ. ასევე, ვრცელდება მოსაზრება, რომ ტერორისტული დაჯგუფების გავლენა იზრდება რეგიონის ახალგაზრდა ისლამისტ თაობაზე და მათ შესაძლოა, რუსეთზე თავდასხმები განახორციელონ.

„ის, რომ კავკასიელმა ისლამისტებმა გამოაცხადეს ერთგულება „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია „ისლამური სახელმწიფო“ არის პრობლემა არა მხოლოდ კავკასიისთვის. ეს პრობლემა მომდინარეობს ავღანეთიდან, კვეთს ცენტრალური აზიის ქვეყნებს, ახლო აღმოსავლეთს და აფრიკის ნაწილსაც კი. ამ საფრთხესთან გამკლავების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია სტრატეგიული თანამშრომლობა და ამ მხრივ სტაბილურობა. ისიც ნიშანდობლივია, რომ სხვა

საქართველოს სერიოზული პრობლემები ემუქრება

რეგიონულმა კონფლიქტებმა არ უნდა გადაიტანოს ჩვენი ყურადღება ამ საკითხიდან“, — განაცხადა **სერ ადრიან ბრედშოუმ.** საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეს გენერალ სერ ადრიან ბრედშოუს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მასპინძლობს.

შეხვედრაზე გენერლებმა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო პარტნიორობის მნიშვნელობას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამხედრო განათლების მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებასა და ერთობლივი სწავლებების ინტენსიურად ჩატარებაზე.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ერთერთი მთავარი თემა ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიებში საქართველოს კონტრიბუცია იყო. საუბარი შეეხო ქართული ასეულის ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვასაც. გენერალმა ბრედშოუმ ქართულ მხარეს ISAF-ისა და „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიებში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე გენერალური შტაბის J-2 დაზვერვის, J-3 ოპერატიული დაგეგმვისა და J-5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო თანამშრომლობის დეპარტამენტების უფროსებმა გენერალ ბრედშოუს პრეზენტაციები წარუდგინეს. ნატოს ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს“ ესტუმრა და საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეულის სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა.

„ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებები საქართველოსგან უყურადღებოდ არ რჩება“, — ამის შესახებ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა **ვახტანგ კაპანაძემ** თავდაცვის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე იმ ინფორმაციაზე კომენტირებისას ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, **„ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ განაცხადა. „ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ კავკასიის ემირატის შესახებ განაცხადა. უდავოა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია არის საფრთხე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენ, როგორც მთელი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილი, ასევე განვიხილავთ „ისლამურ სახელმწიფოს“ საფრთხედ. არსებობს შესაბამისი ორგანოები, მათ შორის, შეიარაღებული ძალები თავისი წილი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომლებიც ამუშავებენ სცენარებსა და გათვლებს. „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებები უყურადღებოდ არ რჩება“,** — ირწმუნება კაპანაძე. მისივე თქმით, სიახლე არ არის ჩეჩენი და დაღესტნელი საველე მეთაურების „ისლამური სახელმწიფოს“ დაქვემდებარებაში გადასვლა, რადგან მანამდეც რამდენიმე საველე მეთაურმა — ჩეჩენმა თუ დაღესტნელმა განაცხადა თავისი დაქვემდებარების შესახებ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ, — აღნიშნა კაპანაძემ.

იხ. 8 გვ.

საქმე №1/19-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 ივნისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”

საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით წერეთელი, მამუკა არევაძე, ლევან ჯიქური

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 6 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის დავით წერეთელის, მამუკა არევაძისა და ლევან ჯიქურის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 28 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა” და დავით წერეთელს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №061391772, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელ დავით წერეთელზე გასცა 5000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა — ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის მამუკა არევაძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ბმვ 745; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2005; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WBAGN63575DS56739.

2013 წლის 28 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ლევან ჯიქურს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდები იღებს ვალდებულებას მთლიანად იყოს პასუხისმგებელი №061391772 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე 2015 წლის 6 თებერვალს მიღებული განჩინებით ყადაღა დაედო დავით წერეთლისა და ლევან ჯიქურის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით წერეთელს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფებოდა და ვერც მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მამუკა არევაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდეცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით წერეთელსა და მამუკა არევაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით წერეთელი და მამუკა არევაძე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

17. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დავით წერეთელსა (პირადი №01003005024) და მამუკა არევაძეს (პირადი №56001003302) ეცნობოს, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

18. დავით წერეთელსა და მამუკა არევაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

19. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

20. მოპასუხე დავით წერეთელსა და მამუკა არევაძეს ეცნობოთ, რომ 2015 წლის 31 ივლისს 13:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით იასონ კობერიძის მიმართ.

21. დავით წერეთელსა და მამუკა არევაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

22. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

23. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

24. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/26-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 ივნისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ჯაბა დვალი, ოთარ ხიზანეიშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 18 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ჯაბა დვალისა და ოთარ ხიზანეიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 5 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ჯაბა დვალს შორის დაიდო №091390252 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: აუდი A4; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2002; ტიპი: სედანი; ფერი: რუხი 1/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WAULC68EX3A207272; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL0830863; სარეგისტრაციო ნომერი: CRC023.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო ჯაბა დვალის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ოთარ ხიზანეიშვილს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო და ვერც მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ჯაბა დვალსა და ოთარ ხიზანეიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ოთარ ხიზანეიშვილი მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ოთარ ხიზანეიშვილს (პირადი №01031003415) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ოთარ ხიზანეიშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ჯაბა დვალსა (პირადი №01003013113) და ოთარ ხიზანეიშვილს ეცნობოს, რომ 2015 წლის 31 ივლისს 13:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ჯაბა დვალისა და ოთარ ხიზანეიშვილის მიმართ.

5. ჯაბა დვალსა და ოთარ ხიზანეიშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6.განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7.საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8.საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/72-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

23 ივნისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ზურაბ აზარიაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 1 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი მოპასუხის ზურაბ აზარიაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 21 ნოემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ზურაბ აზარიაშვილს შორის დაიდო №111312491 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1650 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 21.05.2014წ.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ოპელ ვივარო; ტიპი: სატვირთო ფურგონი; ფერი: ყვითელი 5/8; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2003; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №W0LF7ABA54V614739; სარეგისტრაციო მოწმობა: AL1273817; სარეგისტრაციო ნომერი: GYG110.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილი მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილს (პირადი №01017009062) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

10. ზურაბ აზარიაშვილს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ზურაბ აზარიაშვილს ეცნობოს, რომ 2015 წლის 31 ივლისს 17:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ზურაბ აზარიაშვილის მიმართ.

13. ზურაბ აზარიაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ-ის ძლიერი პარტნიორი ტერორიზმთან ბრძოლაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 2014 წელს კვლავ რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების „ძლიერ პარტნიორად“ ტერორიზმთან ბრძოლაში, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოთქვა შეშფოთება, რომ იგი კვლავ რჩება საერთაშორისო ტერორიზმის წყაროდ, აგრეთვე ტრანზიტულ ქვეყანად ექსტრემისტებისთვის. ამის შესახებ საუბარია სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებაში ტერორიზმთან დაკავშირებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მითითებით, დოკუმენტის შემდგენლები აღნიშნავენ, რომ შარშანდელი დეკემბრის მდგომარეობით, სირიასა და ერაყში „ისლამის სახელმწიფოს“ მხარეს საქართველოს 50-დან 100 მოქალაქემდე მონაწილეობდა, უპირატესად, აჭარისა და პანკისის ხეობის მუსლიმანური რეგიონების მოსახლეობიდან. მათ რიცხვშია „ისლამის სახელმწიფოს“ ერთ-ერთი სამხედრო ხელმძღვანელი – 28 წლის პანკისელი თარხან ბათირაშვილი, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით „ომარ ალ-შიშანი“.

„საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ისლამისტი ექსტრემისტები კვლავ ახორციელებენ მისი გავლით ტრანზიტს ჩრდილოეთი კავკასიიდან სირიასა და ერაყში“, – ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური უწყების მოხსენებაში.

მიღებული ზომები

დოკუმენტში აღნიშნულია ზომები, რომლებიც მიიღო საქართველოს მთავრობამ ტერორისტებთან ბრძოლაში, მათ შორისაა ანტიტერორისტული კანონმდებლობის გაფართოება, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა, ესე იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება საერთაშორისო ტერორიზმსა და პირთა დაქირავების საქმეში მათი ტერორისტულ ორგანიზაციაში შეყვანის მიზნით.

აღნიშნულია საქართველოში შექმნილი ახალი ანტიტერორისტული სტრუქტურა და ახალი უწყებათაშორისი მექანიზმი, რომლის დანიშნულებაცაა კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელების უზრუნველყოფა. ამით, ხაზგასმულია მოხსენებაში, გაფართოვდა შესაძლებლობანი და გაიზარდა საქართველოს ხელისუფლების უნარი აღმოაჩინოს ტერორიზმთან დაკავშირებული ინციდენტები, თავიდან აიცილოს ისინი და მოახდინოს მათზე რეაგირება.

წინასწარი მონაცემებით, სირიაში 2014 წელს უკვე დაიღუპა საქართველოს 11 მოქალაქე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში ტერორისტების მხარეს. აღსანიშნავია, რომ 14 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა 4 პირი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირისათვის. ერთ-ერთ მათგანს – 36 წლის სოფლის იმამს პანკისის ხეობიდან აიუფ ბორჩაშვილს წაუყენეს ბრალდება 2 მუხლით. ერთ-ერთი მათგანია – სისხლის სამართლის კოდექსის 327 მუხლი (პიროვნებათა დაქირავება მათი ტერორისტულ ორგანიზაციაში შეყვანის მიზნით) – ითვალისწინებს დასჯას თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე, მეორე – 328-ე მუხლი – შეეხება დახმარების გაწევას ტერორისტულ საქმიანობაში ან ტერორისტულ ორგანიზაციაში შესვლისათვის უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იგი ითვალისწინებს სასჯელს ციხეში პატიმრობით 10-დან 17 წლამდე.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ბორჩაშვილი „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელია საქართველოში, რომელიც ქირაობს მოქალაქეებს, მათ შორის, არასრულწლოვანებსაც მათი ჩართვის მიზნით ტერორისტულ ორგანიზაციაში, აგრეთვე შემდეგ მათ გამგზავრებას სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის ჯიჰადისტების მხარეს.

დანარჩენ დაკავებულებს ბრალი ედებათ იმაში, რომ, ბორჩაშვილის გავლენის ქვეშ მოქცევის შემდეგ ისინი აპირებდნენ თურქეთის გავლით წასულიყვნენ სირიაში ჯიჰადისტების ტერორისტულ მოქმედებებში მონაწილეობისათვის.

ორი მათგანი – 23 წლის გიორგი ხუტუნიშვილი და 18 წლის დავით პირისებია დაკავეს 14 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სასაზღვრო კონტროლის გავლის დროს. 23 წლის გიორგი კუპრავა კი, ვისაც უკვე ნაყიდი ჰქონდა ავიაბილეთი თურქეთში, დააპატიმრეს თბილისში.

სამივეს მგზავრობა, ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ორგანიზებული იყო აიუფ ბორჩაშვილის მიერ, თურქეთიდან კი ისინი, სავარაუდოდ, უნდა წასულიყვნენ სირიაში.

ოთხივე უარყოფს თავიანთ ბრალდებას. საქმის წინასწარი მოსმენა 5 აგვისტოს გაიმართება.

საზღვრის დაცვა

სახელმწიფო **დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია ის ვითარებაც, რომ 2014 წელს საქართველომ მიიღო ზომები თავისი საზღვრების გამკაცრების შესახებ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებითაც, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სანაპირო დაცვის შეიარაღებაში.** ამასთან ერთად, როგორც მოხსენებაშია ხაზგასმით აღნიშნული, რუსული ოკუპაციის პრობლემა ქმნის დაბრკოლებებს საქართველოს საზღვრების განმტკიცებისა და სათანადო დაცვისათვის.

„საქართველო კვლავ აგრძელებს სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერებას, კერძოდ, უვიზო რეჟიმის მიღწევისათვის ევროკავშირთან. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველო კონტროლს ვერ უწევს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს – ქვეყანას არ გააჩნია შესაძლებლობანი მთლიანად დაიცვას ჩრდილოეთი საზღვარი“, – აღნიშნულია მოხსენებაში.

Voice of America

◎ საერთაშორისო საფრთხე

ისლამური სახელმწიფოს კავკასიის ემირატი

(მეექვსე გვერდიდან)

„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერებს საქართველოს მიმართ რაიმე გამოკვეთილი ინტერესი არ გააჩნიათ“, – ირწმუნება კავკასიოლოგი **გელა ხმალაძე.** მისი თქმით, საუბარია ჩრდილოეთ კავკასიაზე, კერძოდ, „კავკასიის ემირატის“ ტერიტორიაზე. საქართველოს კი, პირდაპირი პრევენციული ღონისძიებების გატარება არ შეუძლია, თუმცა, ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს იმ ღონისძიებების გატარება, რასაც აქამდე აკეთებდა – შეზღუდოს „ისლამური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის მასშტაბი; არ დაუშვას საბრძოლო მოქმედებების და ტერორისტული აქტების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება.

„ისლამური სახელმწიფოს“ განცხადება კავკასიის ტერიტორიაზე საკუთარი პროვინციის დაარსების შესახებ სამხრეთ კავკასიის მიმართ არ ყოფილა. ეს პროვინცია მოიცავს მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია და რომელსაც, თავის დროზე, „კავკასიის ემირატი“ მოიცავდა. „კავკასიის ემირატის“ სტრუქტურა ჩრდილოკავკასიაში მოიშალა და თითქმის ყველა საველე მეთაური გადასულია „ისლამურ სახელმწიფოში“. ასე რომ, ადრე თუ გვიან დადგებოდა და ეს დრო, რაც პროცესის ლოგიკური დასასრული იყო. უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, კონკრეტულად პანკისის ხეობაზე და ა.შ. „ისლამური სახელმწიფოდან“ რაიმე მესიჯი არ წამოსულა. იყო ცალკეული ექსტრემისტული ხასიათის განცხადებები აჭარასა და პანკისის ხეობაზე „ისლამური სახელმწიფოს“ ინტერესების თაობაზე, მაგრამ ეს ცალკეული ექსტრემისტი ადამიანების განცხადებები იყო და რომელიმე მეტ-ნაკლებად გავლენიანი პირისგან არ მოდიოდა“, – აღნიშნა გელა ხმალაძემ.

„ალ-ჯაზირას“ ცნობით, **სირიის** ჩრდილოეთით თურქეთის საზღვართან ახლოს, ქალაქ ქობანიში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს. დაღუპულია ათობით ადამიანი. ისლამისტი მებრძოლები აღნიშნულ ტერიტორიაზე გუშინ შეიჭრნენ, თუმცა, გავრცელებული ცნობით, ქალაქის დიდ ტერიტორიას კვლავ ქურთების არმია აკონტროლებს. ქობანიში „ისლამური სახელმწიფო“ გასულ წელსაც შეიჭრა, მაგრამ მაშინ ქურთების შეიარაღებულმა ძალებმა აშშ-ის კოალიციური ძალების დახმარებით, ისლამისტების ქალაქიდან გაძევება შეძლო. ე.წ ისლამური სახელმწიფო სირიისა და ერაყის ტერიტორიების დიდ ნაწილს აკონტროლებს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივ არმიებს დასავლეთი ეხმარება.

„ისლამური სახელმწიფოს“ განცხადება, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია. უყურადღებოდ დატოვება მოვლენის, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, წარმოუდგენელი და შეუძლებელია. უნდა დადგინდეს, რეალურია თუ არა ეს ინფორმაცია. საშიშია ის თვითნებობა, რასაც „ისლამური სახელმწიფო“ ახორციელებს. ამას ადევს სეპარატისტული და რელიგიური დაპირისპირების ნიშანი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს საკითხი. ასეთი ქმედებები კანონით აკრძალულია და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს აღკვეთილი და დასჯადი“, – განაცხადა **ვალერი გელბახიანმა** ამ საკითხის კომენტირებისას.

ARAERTI ქართველი ექსპერტი დიდი ხანია აცხადებს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. საქართველოს სერიოზული საფრთხე ემუქრება და ამიტომაც აქედანვე უნდა დაიწეროს გრძელვადიანი სტრატეგია. შეიძლება არ იყოს ინფორმაცია გასაჯაროებული, თუმცა, შესაბამის სამსახურებს გეგმის შემუშავება მართებთ. როგორ უნდა გაუმკლავდეს საქართველო საერთაშორისო ტერორიზმს, შინაგან საქმეთა სამინისტრო შედარებით ღიად საუბრობს ამ დეტალებზე, რომელიც უწყების ანგარიშებშიც მოხვდა, მაგრამ რაც შეეხება უშიშროების სამსახურებსა და თავდაცვას, თემა დახურულია...

თეა მოსია

დედამიწის ზურგზე

კოლუმბიის ჯუნგლეებში ავიაკატასტროფის შემდეგ გადარჩნენ დედა და ბავშვი

მსუბუქი ორმოტორიანი თვითმფრინავი ქალაქ კიბდოდან (ესაა პროვინცია ჩოკოს დედაქალაქი) ქალაქ ნაკაიში მიფრინავდა და ჩამოვარდა ალტო ბაუდოს რაიონში. ახალგაზრდა ქალი და მისი ბავშვი ცოცხალი ნახეს კატასტროფიდან 5 დღით შემდეგ.

* * *

იაპონიაში განახლდა სიკვდილით დასჯა – აღსრულდა სასიკვდილო განაჩენი მკვლელთან დაკავშირებით



სიკვდილით დასაჯეს 44 წლის ცუკასა კანდა, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი 2007 წელს ნაგოეში 31 წლის ქალის მკვლელობაში. გამოძიების მონაცემებით, კანდამ და მისმა 2 თანამზრახველმა, რომლებიც მან ინტერნეტში გაიცნო, გაიტაცეს ქუჩაში ქალი, რომელიც გაძარცვეს და დაახრჩვეს, როდესაც იგი გაქცევას ცდილობდა.

* * *

არიზონას შტატში დაიმსხვრა აშშ-ის ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი

ინციდენტის მომენტში თვითმფრინავში ღამის საწვრთნელ მისიაზე იმყოფებოდა 1 მფრინავი. მისი ბედი უცნობია. იტყობინებიან, რომ გამანადგურების დაცემის ადგილზე გადის გაზსადენი. თვითმხილებლებმა სოციალურ ქსელებში განაცხადეს, რომ ჩამოვარდნის დროს დაინახეს აშკარა აფეთქება. ავიაკატასტროფამ ძლიერი ხანძარი გამოიწვია.

* * *

საკაკაშვილმა ისაუბრა თავის ყოველწლიურ შემოსავალზე ამერიკის ინსტიტუტში

ოდესის გუბერნატორმა გამოაქვეყნა ცნობა თავისი გამომუშავების შესახებ, რომლის თანახმადაც მისი წლიური შემოსავალი თითქმის 200 ათასი დოლარია. თუ არ ჩავთვლით ანაზღაურებებს ლექციებისა და საჯარო გამოსვლებისათვის. ამერიკულ ინსტიტუტ „ნიუ ინტერნეშნელ ლიბერში ინსტიტუტში“ საკაკაშვილს გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია. ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტზე მას თითქმის 260 დოლარს უხდიან.

◎ „მაღალის“ მდაბალი ცრუპენტელობა

სინდისის ქენჯნა, თანამემამულეთა დახმარების სურვილი თუ მორიგი პიარი?

თბილისში 13 ივნისს დატრიალებული ტრაგედიის დროს დაზარალებულებს დახმარებებს სთავაზობენ სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირები, პოლიტიკოსები, ჩვენი თუ უცხოელი ბიზნესმენები. ცხადია ამ მოვლენებთან დაკავშირებით ველოდით ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად უკრაინის მოქალაქისა და ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის რეაქციას, მანაც არ დააყოვნა. ნაცებისა და სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიის „რუსთავი-2“-ის ეთერში გადაიცა პრეზიდენტყოფილის განცხადება: **„ძალიან განვიცდით** (საინტერესოა, ვინ იგულისხმება მრავლობითში — **ზ. ბ.**) **თბილისის ამბებს და ბევრს ვფიქრობთ, თუ როგორ დავეხმაროთ. მივიღეთ გადაწყვეტილება ბიზნესმენების ადგილობრივ ჯგუფებთან ერთად, რომ სტიქიით დაზარალებული ბავშვები მთელი ზაფხულის განმავლობაში დავასვენოთ ოდესაში, საუკეთესო პირობებში მოვუხსნათ სტრესი“.**

„ექსი“-ს ამ განცხადებას საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ფეისბუქის გვერდებზე თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სხვადასხვა პროფესიის, სოციალური მდგომარეობის ადამიანები. ყველა თანახმაა, რომ ასეთ რთულ ვითარებაში, სიცხეებში შვილები ოდესაში დაასვენოს. მაგრამ ყველა ინტერესდება დამსვენებელთა კონტინგენტის შერჩევის პირობებითა და მოთხოვნებით.

მცირეწლოვანთა მშობლები ინტერესდებიან, შესაძლებელი იქნება თუ არა 7-10 წლის ბავშვებთან ერთად ერთ-ერთი მშობლის დასვენებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს დიდი ხნით ვერავის ანდობენ.

უფროსკლასელთა მშობლების ერთი ნაწილი (სააკაშვილისა და მისნაირთა შეხედულებით — კონსერვატორები — **რედ.**) ვერ წყვეტს შვილები სააკაშვილის „ტურებში“ გაუშვას, რადგანაც კარგად ახსოვთ, მსგავს ბანაკებში რა ხდებოდა საქართველოში, „მაღალი“ თვითონ მოუწოდებდა ახალგაზრდებს გართობისათვის „გამოეყენებინათ“ ბუჩქები, და ა.შ. ჰოდა, ბუნებრივია, მშობლები შვილების ასეთ საეჭვო ვითარებაში გაგზავნას უფრთხიან.

გამოჩნდა რამდენიმე ირონიული განცხადება სტუდენტებისა: ჩვენ დაზარალებულთა კატეგორიას არ მივეკუთვნებით? ეტყობა ზოგიერთმა მათგანმა, თუ პირადად არა, გადმოცემით მაინც იცის, თუ რა „საამური“ ცხოვრება იყო საქართველოს დასასვენებელ ბანაკებში.

არიან ისეთებიც, რომლებიც უსახლკაროდ, ყველაფრის გარეშე დარჩნენ და მათთვის დასვენებაზე მეტად პრობლემების გადაჭრაა მთავარი.

ექსპერტები, ანალიტიკოსები, პოლიტოლოგები ერთხმად მიესალმებიან ოდესის ამჟამინდელი გუბერნატორის შემოთავაზებას, თუმცა მათ მაინც უჩნდებათ კითხვები, თუ რა მოტივი ამოძრავებს ყოფილ პრეზიდენტს. ნაწილი თვლის, რომ მიშას სინდისი ქენჯნის მომხდარში პირადად მისი და „ვარდოსანთა“ გუნდის გარკვეული წვლილის გამო (ქალაქის დაგეგმარებაში პროფესიონალთა მოსაზრებების იგნორირება და ა.შ. — **ზ. ბ.**).

ბევრი იგონებს იმ მომენტებს, როდესაც წინა ხელისუფლება ეკომიგრანტებს დროებითი საცხოვრებლებიდან ყრიდა და სპეცნაზების მეშვეობით ღია ცის ქვეშ ტოვებდა. მიშას დღევანდელი შემობრუნება მათთვის გარკვეულ კითხვებს აჩენს. — რატომ დღეს და არა გუშინ?

ზოგი კი თვლის, რომ სააკაშვილი მოწყვეტილია გარემოს, ყოფილ გუნდს და საკუთარს „ერეკება“, პიარზე მუშაობს, ამის საფუძვლად მათ თავად სააკაშვილის განცხადება მოჰყავთ: „ამ საკითხზე (იგულისხმება დაზარალებულ ბავშვთა ოდესაში დასვენება — **რედ.**) თბილისის მერიას უკრაინიდან დაუკავშირდებიან“.

დედაქალაქის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაგდა პოპიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიისთვის ჯერჯერობით არავის მიუმართავს.

და რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი „შეფის“ განცხადებაზე კომენტარს ვერ აკეთებენ სააკაშვილის ნარჩენ „ნაცმოძში“.

მოკლედ არ იშლის „მაღალი“ მდაბალ ცრუპენტელობას.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

განახლებული სკვერები ქუთაისში

ქუთაისში, რუსთაველის №3-ისა და ბუხაიძის №6-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნულ სამუშაოებს შპს „თეგიკაუნივერსალი“ ახორციელებს. სკვერების რეაბილიტაციისთვის 136 974 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხარჯება. სკვერებში სკამები, დეკორატიული განათება, დაწნეხილი ფილები, მწვანე საფარი, დეკორატიული მცენარეები და სარწყავი სისტემა კეთდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დვალმა დაათვალიერეს. სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და ივლისის ბოლოს დამთავრდება.

გაიხსნა წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ცენტრალური ლაბორატორია

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ უახლესი სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ცენტრალური ლაბორატორია გაიხსნა.

ლაბორატორია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილემ ეკა სეფაშვილმა და აზიის განვითარების ბანკის პროექტის კოორდინატორმა სან ჯეი ჯოშიმ გახსნეს.

ცენტრალური ლაბორატორია კოორდინაციას და კონტროლს გაუწევს რეგიონის ლაბორატორიებს და რეგულარულად გააკონტროლებს რეგიონების წყლის ხარისხს. სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ლაბორატორიის საშუალებით შესაძლებელი გახდება რეგიონების წყლის ხარისხის კომპლექსური კვლევების ჩატარება ეროვნული და ISO სტანდარტების შესაბამისად. ლაბორატორია წყლის ხარისხის ისეთ პარამეტრებზე და მაჩვენებლებზე უზრუნველყოფს კვლევების ჩატარებას, რომლებიც შესაბამისი აპარატურის უქონლობის გამო აქამდე არ ჩატარებულა. ლაბორატორიაში განხორციელდება წყლის ხარისხის კომპლექსური კვლევა სანიტარიულ-ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლების, ლიმიტირებული მძიმე მეტალების, ორგანული ნაერთების (პესტიციდების, ნავთობპროდუქტების) და სხვა 50-ზე მეტი პარამეტრის მიხედვით.

ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კვლევა გამოქვეყნდა

პროექტ „ახალგაზრდული თვითმართველობა 2015“-ის ფარგლებში შექმნილმა „თბილისის ახალგაზრდული საკრებულოს“ წევრებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისში მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარეს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, გამოკითხვის მიზანს ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებულობის დონის დადგენა და კონკრეტული პრობლემების გამოვლენა წარმოადგენდა. როგორც „ადამიანი, კანონი, თავისუფლებაში“ აცხადებენ, კვლევა მიმდინარე წლის 1-2 ივნისის პერიოდში ჩატარდა და სულ 374 სრულწლოვანი მოქალაქე გამოიკითხა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს სწორ და სათანადო ინფორმაციას ბავშვთა უფლებების და მათი დაცვის შესახებ. გამოკითხულთა 32,4% თვლის, რომ ბავშვად 14 წლამდე პირი ითვლება; 22,5% თვლის, რომ 16 წლამდე პირი ითვლება ბავშვად; 38,8%-ის აზრით ბავშვად 18 წლამდე პირი ითვლება; 5,3% ფიქრობს, რომ ბავშვად 21 წლამდე პირი მოიხსენიება, ხოლო 1,1% -ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს. ამასთან, გამოკითხულთა 63,6% გამოხატა სურვილი, რომ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო დაწესებულებში, 19,3% — მედიაში, ხოლო 15,8% — ინტერნეტსივრცეში.

◎ დანაშაულის კვალდაკვალ

„ახალი სამშობიარო ცენტრის“ ყველა თანამშრომელი ემიჯნება ბავშვით ვაჭრობის ფაქტს“

ჩვილი ბავშვების ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „რუსთავის სამშობიარო სახლის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ბარავკოვი, მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე და „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია უგრეხელიძე დააკავა. ასევე, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული დანაშაულში მონაწილე 6 პირი.

ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის ფაქტზე, ბრალდებული, 72 წლის ექიმი მზია უგრეხელიძე, სასამართლომ 10 ათასი ლარის გირაოს გადახდის შემდეგ გაანთავისუფლა. მზია უგრეხელიძის კავშირმა ამ საქმესთან, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კლინიკა „ახალი სამშობიარო ცენტრის“ რეპუტაციას, იმის მიუხედავად, რომ კლინიკის ადმინისტრაცია და მთელი პერსონალი კატეგორიულად ემიჯნება მომხდარ ფაქტს.

რეალურად რა მოხდა და რა კავშირი აქვს ბავშვებით ვაჭრობასთან „ახალ სამშობიარო ცენტრს“ და მის ერთ-ერთ დამფუძნებელს მზია უგრეხელიძეს? — ამ შეკითხვებს კლინიკის დირექტორი **ზურაბ ბართაია** პასუხობს.

— „ახალი სამშობიარო ცენტრის“ დანარჩენი 39-ვე დამფუძნებელი, ასევე ის ადამიანები, რომლებიც დასაქმებული არიან ჩვენთან, ცალსახად ვემიჯნებით აღნიშნულ ფაქტს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არც მე და არც ჩემი კოლეგები ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსში არ ვიმყოფებოდით. „ახალი სამშობიარო ცენტრი“ ორიენტირებულია პაციენტის ჯანმრთელობაზე და ჩვენი მომსახურების მაღალი ხარისხი და მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაბალი ფასები ამაზე მეტყველებს. სამშობიარო ცენტრს უამრავი მადლობა აქვს მიღებული პაციენტების მხრიდან.

— როგორ მოხდა ჩვილი თქვენს კლინიკაში?

— როგორც საქმიდან ირკვევა და როგორც ქალბატონი მზია ამბობს, ჩვილი კლინიკაში მკურნალობის მიზნით მოხვდა და მზია უგრეხელიძე მას, როგორც ექიმი დაეხმარა.

— თქვენ არ იყავით საქმის კურსში?

— რა თქმა უნდა— არა. არასოდეს მსგავსი ფაქტი ჩვენს კლინიკაში არ ყოფილა და ქალბატონ მზიასაც არავინ ჩაუყენებია საქმის კურსში. პრესაში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს, შესაძლებელია, ბავშვი დარეგისტრირდეს იმ კლინიკის გარეთ სადაც დაიბადა. ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება ანგარიშვალდებულია ელექტრონული შეტყობინებით — (ფორმა 106) — აცნობოს ახალშობილის დაბადება იუსტიციის სახლს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწესებულების წინააღმდეგ ტარდება საჯარიმო სანქციები. სამშობიაროში ბავშვები რეგისტრირდებიან გაწერამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც დასტურდება მშობლების ხელმოწერით, რის შემდეგ ბავშვს ენიჭება პირადი ნომერი და ეწერება კლინიკიდან. თუ მელოგინე ტოვებს ჩვილს, ჩვენ სასწრაფოდ სოციალურ სააგენტოს ვაყენებთ საქმის კურსში.

— ეს ბავშვი თქვენთან არ ყოფილა რეგისტრირებული?

— ეს ბავშვი ჩვენს კლინიკაში არ დაბადებულა და შესაბამისად, ჩვენთან ვერ იქნებოდა დარეგისტრირებული. ბავშვი დაიბადა სხვა სამშობიარო სახლში, თუმცა ჩვენთან ქუჩიდან შემოიყვანეს, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვების მიზნით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბავშვი ჩვენთან რომ დაბადებულიყო, გამორიცხულია, ასეთი რამ მომხდარიყო. როდესაც დედა უარს ამბობს შვილზე, მაშინვე ხდება იმ სტრუქტურების ჩართვა, რომელიც უშუალოდ ერთვება ასეთ დროს. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს გამოძიება, შესაბამისად, გაირკვევა ყველაფერი.

— დასტურდება, რომ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარება იყო მძიმე?

— როგორც ქ-ნ მზია აცხადებს, ბავშვს სჭირდებოდა კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, რაც გაეწია კიდეც. დიდი ხანია, ქალბატონ მზიას ვიცნობ, მისი მხრიდან არასოდეს უღირს საქციელს ადგილი არ ჰქონია — არც გამიგია. ქალბატონი მზიაც არ იქცევდა ყურადღებას, რომ ეჭვი შეგვეტანა მის საქმიანობაში. ძალიან მოწესრიგებული ადამიანი იყო.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლო წლებში ნაკლებად ეწეოდა საექიმო საქმიანობას, თუმცა ადმინისტრაციული მიმართულება ჰქონდა ჩაბარებული. ის იყო ნეონატოლოგიური მიმართულების კურატორი. როგორც ნეონატოლოგს, დიდი ხნის გამოცდილება აქვს, წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა კლინიკებში.

ესაუბრა
თამთა ძარჩაიძე
რუსთავი-თბილისი.

◎ ძიუდო

„ოქროს“ იმედით

2014-2015 წლებში ქართველმა ძიუდოისტებმა საერთაშორისო სარბიელზე მრავალ და საგულისხმო წარმატებას მიაღწიეს. ახლა ისინი ბაქოში იმყოფებიან და პირველ ევროპულ თამაშებში მონაწილეობენ. ტატამზე მათს გამოსვლას დიდი ინტერესით ელის ქართული სპორტის ქომაგი, რადგან თამაშების „ოქროს“

იმედად მხოლოდ კიმონოიანები შემოგვრჩნენ. სანამ ჩვენს მოჭიდაველებსა და მათს მეტოქეებზე გეტყოდეთ რამეს, შევნიშნავთ, რომ ევროპის ძიუდოს კავშირმა ბაქოში კონტინენტის რჩეული ფალავნები დაასახელა. 2014 წლის საუკეთესო ძიუდოისტად ავთანდილ ჭრიკიშვილი, საუკეთესო მწვრთნელად კი ირაკლი უზნაძე აღიარეს, რაც ჩვენი ძიუდოისტებისთვის კიდევ ერთი სტიმული იქნება თამაშებზე უკეთ გამოსვლისთვის. აღსანიშნავია, რომ ბაქოს ტატამზე მიღწეული წარმატებისთვის ძიუდოისტები ორ ჯილდოს მიიღებენ — თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატისას, ასევე, სარეიტინგო ქულებს 2016 წლის საგზურებისთვის. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ვაჟები. **ამირან პაპინაშვილი (60), ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე — 73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (81), ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი ((100). ქალები. ესტერ სტამი, ნინო ოძელაშვილი (ორივე — 70). ნაკრების მთავარი მწვრთნელია ირაკლი უზნაძე, რომელმაც ბაქოში ვაჟთა და ქალთა არასრული გუნდები ჩაიყვანა, ფაქტობრივად, ისეთი შემადგენლობა შეარჩია, რომლებისგანაც მედლებს ელის.**

გუშინ პირველი გავიდა ტატამზე ამირან პაპინაშვილი. შეჯიბრებაში მე-2 წრიდან ჩაერთო — არტიომ არშანკის (ისრაელი) გაფრთხილებებით მოუგო. მეოთხედფინალი ჰოლანდიელ ხეროენ მუურენთან ბოლო წამებზე შებოჭვით დათმო. დამამშვიდებლებში გერმანელ ტობიას ენგლმაიერს ვაზარით აჯობა და ბრინჯაოს მედლისთვის ფრანსისკო გარიგოსს დაუპირისპირდა და გაიმარჯვა. ქართველმა სპორტსმენებმა კიდევ ერთი ბრინჯაო მიითვალეს.

27 ივნისს მედლები 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდება. ბ ჯგუფის ლიდერი ნუგზარ ტატალაშვილი პირველ წრეში დაისვენებს, მეორეში კი ბაირამ ჩეილანსა (თურქეთი) და ლორენ ურანს (საფრანგეთი) შორის უძლიერესს შეხვდება. ამავე ჯგუფშია ევროპის 2013 წლის სლოვენიელი ჩემპიონი როკ დრაკშიჩი. სატურნირო ბადის საპირისპირო მხარესაა ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, რომელიც ფრანგ პიერ დუპრასთან გაარკვევს ურთიერთობას.

მსოფლიოს და ევროპის ქართველი ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი ევროთამაშებზე განთესვით პირველი ნომერია და სტარტზე დაისვენებს. იგი ჟოაკიმ ბოტიოსა (ბელგია) და ივაილო ივანოვს (ბულგარეთი) შორის საუკეთესოს დაელოდება. უშანგი მარგიანი სტარტს სლოვაკ მატუს მილიჩოვსკისთან ორთაბრძოლით აიღებს.

90 და +100 კილოში 28 ივნისს იჭიდავებენ. ვალერი ლიპარტელიანი ტურნირზე მეორე ნომერია და პირველ წრეში ისვენებს, მეორეში უნგრელ გაბორ ვერთან გაარკვევს ურთიერთობას. წარმატების შემთხვევაში მის მომდევნო მეტოქეს ვადიმ სინიავსკისა (უკრაინა) და ნიკოლოზ შერაზადაშვილის (ესპანეთი) პაექრობა გამოავლენს. ბექა ღვინიაშვილი მეთექვსმეტედფინალში თურქ ბატუჰან ეფემგილს გაუწევს მეტოქეობას. ქართველთა ბადის მოპირდაპირე მხარესაა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური). მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილისა და ლევან მატიაშვილის მეტოქეებს პირველი შეხვედრები დაასახელებს. ადამი დავიდ ფერნანდესსა (ესპანეთი) და მაჩეია სარნაცკის (პოლონეთი), ხოლო ლევანი უშანგ კოკაურსა (აზერბაიჯანი) და მატიას სერაჟს (სლოვენია) შორის გამარჯვებულს დაეჭიდება. ამ წონაში არ იასპარეზებს ფრანგთა ლიდერი ტედი რინერი. წილისყრამ ქალთა 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენებურთა მეტოქეებიც დაასახელა: ესტერ სტამი იტალიელ ჯულია კანტონას, ნინო ოძელაშვილი კი ბელგიელ ლოლა მანსურს შეხვდება.

ლექსო ციწცაძე

◎ ჭიდაობა

მესამე ადგილებს დასჯერდნენ

ოთხი ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაასრულეს ასპარეზობა სტამბოლში ქართველმა ფალავნებმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე. კვარცხლბეკზე ავიდნენ რობერტ დინგაშვილი (50), ავთანდილ კენჭაძე (66), ტარზან მაისურაძე (74) და გიორგი ჩხარტიშვილი (84).

დინგაშვილი სტარტზევე მომავალ ჩემპიონ ისმაილ გაჯიევთან (რუსეთი) 2:12 დამარცხდა და სანუგეშოში გადაერთო, იქ ბელარუს იაუჰენ რებიკაუს 11:8 მოუგო,

ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში კი მასპინძელ ბეკირ შაჰინს 16:12 მოუგო. დანარჩენი სამი ჩვენებური ნახევარფინალში გავიდა. კენჭაძემ მოლდოველ მაქსიმ საცულტანსა (10:0) და რუს გერმან უსტინოვს (12:2) სუფთად მოუგო, მაგრამ მისი წინსვლა ნახევარფინალში მასპინძელმა ენეს უსლუსმა შეაჩერა — 6:2. ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში ავთანდილმა აზერბაიჯანელი ტიმურ მამადოვი დაამარცხა — 13:2.

ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა მაისურაძემაც ორი შეხვედრა მოიგო — ბელარუსის სახელით მოჭიდავე რომან ჩიტაძე (7:5) და უნგრელი ბალაშ სელი (12:2) ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში მასპინძელ აჰმეთ ერთურქს დანებდა — 10:12, „ბრინჯაო“ კი იტალიელ არონ ცანევას სუფთად (10:0) აართვა. ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ჩხარტიშვილი ბელარუს არტსიომ რუდზიანოკთან მოკრძალებულ ანგარიშს დასჯერდა — 6:2. მერე მოლდოველი ოქტავიან სტავილა დაჯაბნა — 11:0, ნახევარფინალში თურქ მუსტაფა სესიზის ვერაფერი მოუხერხა — 1:7, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გერმანელ ბენჯამინ ორტისზე იყარა ჯავრი — 11:1 და საქართველოს სპორტულ დელეგაციას მეოთხე ბრინჯაოს მედალი შესძინა.

გივი გაგუა

◎ ხელბურთი

ბარსელონიდან — გრანოლერსში

ესპანურ გრანოლერსში, რომელიც ბარსელონის მახლობლად მდებარეობს, მეჩვიდმეტედ გაიმართება ჭაბუკთა დიდი სახელბურთო ფესტივალი. წლეულს აქ ჭაბუკთა და გოგონათა 5-5 ასაკობრივ ჯგუფში 15 ქვეყნის 325 გუნდი ითამაშებს, მათ შორის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები (ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, კბილაშვილი, ზარნაძე, არსენაშვილი, ბულბულაშვილი, ცხოვრებაძე, რუსტამოვი, ფერაძე, მაისურაძე, მერკვილაძე, იობაშვილი, ტიელიძე, გოგავა, მამულაშვილი), რომელიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას ივლისის მიწურულს თბილისი უმასპინძლებს. გრანოლერსის თასზე ჩვენების ასაკობრივ ჯგუფშია 37 გუნდი. მათ შორის 26 ესპანეთისაა, 2-2 გერმანული და შვედური, თითო მონაწილე ჰყავთ საქართველოს, კენიას, ისლანდიას, ნორვეგიას, ბოსნიას, იტალიას, პორტუგალიას. ქართველები შვიდგუნდიან ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მეტოქედ ერთი გერმანული და 5 ესპანური კლუბი ეყოლებათ. 26, 27 ივნისს ჯგუფური ტურნირის 2-2 მატჩი გაიმართება. მერვედფინალში ორი საუკეთესო გადის, ხოლო მესამე ადგილზე გასულს ბრძოლის გასაგრძელებლად დამატებითი მატჩის გამართვა მოუწევს. ამ ტურნირამდე საქართველოს 17 წლის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ბარსელონაში ორი ამხანაგური მატჩი გამართა „ბარსელონას“ 17-წლამდელ ხელბურთელთა გუნდთან და ორჯერვე გაიმარჯვა: ჯერ — 28:26, შემდეგ — 27:25.

წილისყრამ გამოავლინა

წლეულს ნოემბერში ხელბურთელ ვაჟთა 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი გაიმართება. ვენაში ამ შეჯიბრების წილისყრა მოეწყო. საქართველოს ნაკრები მე-4 ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან პორტუგალია, ისრაელი და ესტონეთი. ორწრიანი ტურნირის შემდეგ პლე ოფში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გავა.

წილისყრის სრული შედეგი ასეთია:

I ჯგუფი: ბოსნია, ლიტვა, სლოვაკეთი, კოსოვო.

II ჯგუფი: ავსტრია, ფინეთი, რუმინეთი, იტალია.

III ჯგუფი: ლატვია, უკრაინა, საბერძნეთი, კვიპროსი.

IV ჯგუფი: პორტუგალია, ისრაელი, ესტონეთი, საქართველო.

V ჯგუფი: ჩეხეთი, თურქეთი, ბელგია.

VI ჯგუფი: ჰოლანდია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.

საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩები 2015 წლის 4-8 ნოემბერს, ასევე, 2016 წლის 6-10 და 13-17 იანვარს გაიმართება.

თამაზ პატარაია

◎ წყალხტომა

ყაზანში მსოფლიოზე გამოვლენ

წლეულს 20 ივლისიდან ყაზანი საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სპორტის ამ ფორუმზე საპრიზო ადგილებისთვის წყალმხტომელებიც იასპარეზებენ. მათ შორის ქართველებიც — ჭოლა ჭანტურია და ალექსანდრე გუჯაბიძეც იქნებიან. შარშან და წლეულს მათ სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში (ცხადია, ინდივიდუალურთან ერთად) რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენებურებმა ძალები მოსინჯეს მალაიზიის, სინგაპურისა და მექსიკის გრან პრიზე, ევროპის ჩემპიონატებზე. ამ შეჯიბრებათა შედეგების გათვალისწინებით, საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის (FINA) რეიტინგში ქართველთა დუეტმა მე-14 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ევროპულ ქვეყნებს შორის მე-5 ადგილზეა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭანტურია მსოფლიოს 86 სპორტსმენს შორის 23-ეა, ევროპაში კი მე-10 ადგილი უკავია.

ჭოლა ჭანტურია ნახევარი წელიწადია, მექსიკაში ვარჯიშობს ცნობილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით და იქაურ ტურნირებშიც მონაწილეობს. დღეს იგი მექსიკის ჩემპიონატში ჩაებმება 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში. გუჯაბიძე 3-5 ივლისს იტალიის გრან პრიზე დაუპირისპირდება მეტოქეებს. 13-19 ივლისს ჩვენი წყალმხტომელები მოსკოვში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 20 ივლისიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყაზანში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ.

ლაშა დიდია

სურათზე: ჭოლა ჭანტურია (მარცხნივ) და ალექსანდრე გუჯაბიძე.

◎ ჟეშმარიტების მომენტი

ბელადი ფარდობითობა

როგორც კი მსოფლიო ფარდობითობის თეორიის შესახებ შეიტყო, ალბერტ აინშტაინმა საქვეყნოდ სახელი გაითქვა. ამჟამად კი მისი დიდებიდან მოგების მიღება შეიძლება.

„დიდებაც მსხვერპლს მოითხოვს და, თუკი შეიძლება დიდების გამოდევნაზე ვილაპარაკოთ, მაშინ ამ დევნაში, აინშტაინი ნანადირევი და არა მონადირე იყო“, — წერდა მეცნიერის ერთ-ერთი ბიოგრაფი ალექსანდრე მოშკოვსკი. დიდი ფიზიკოსი მართლაც არ ცდილობდა თავისი მდგომარეობიდან სარგებლის მიღებას და, მაშინაც კი, როცა ლექციების შემდეგ თავის ავტოგრაფებს თითოს დოლარად ყიდდა, ფულს მუდამ ქველმოქმედებისთვის იღებდა.

მაგრამ, იყო შემთხვევები, როცა მის დიდებას, საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მისაპყრობად, სხვები იყენებდნენ. მაგალითად, 1931 წლის თებერვალში ალბერტ აინშტაინმა არიზონაში დიდი კანონი მოინახულა. ადგილობრივი გაზეთების ცნობით, ჰოპის ტომის ინდიელებმა მას „დიდი ფარდობითობა“ შეარქვეს. გამოქვეყნდა ფოტოც, რომელზეც მეცნიერი თავის მეუღლე ელზასთან ერთად ჰოპის ტომის რამდენიმე ინდიელთანაა გადაღებული.

ეს ფოტო, ერთი მხრივ, სახალისოა, მეორე მხრივ კი, სევდიან-კომიკურია. მოწყენილი ინდიელები ერთგვარი სტატისტების როლს ასრულებენ — დანამდვილებით შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აინშტაინის შესახებ მათ არაფერი სმენიათ — ის, უბრალოდ, კიდევ ერთი თეთრკანიანი იყო თავისი სკვოთი, როგორც ისინი ცოლებს უწოდებენ. დიდი ფიზიკოსი „ბამბურა ტურისტის“ როლშია, მისი მორთულობა და ჩიბუხი კი საერთოდაც ჰოპის დამახასიათებელი ნივთები არ არის, ისინი დიდი ველების ინდიელთა ატრიბუტებია.

როგორც ჩანს, აინშტაინისთვის გამორჩეული თიკუნის მოგონების იდეა ჰოპის ტომის ინდიელებს კი არა, სასტუმრო „ელტოვარის“ მეპატრონეებს ეკუთვნის, რომლის გვერდით ეგრეთ წოდებული „ჰოპი-ჰაუსი“ მდებარეობდა — ეს ერთგვარი საგამოფენო ცენტრი იყო, სადაც ინდიელები თავის ნაკეთობებს ყიდდნენ და ცოცხალი ექსპონატების როლს ასრულებდნენ. ცნობილი მეცნიერის დახმარებით სასტუმროს მეპატრონეები ტურისტების მოზიდვას ცდილობდნენ.

ამ ისტორიას ერთობ საგულისხმო დასასრული აქვს: როცა ალბერტ აინშტაინი ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიდიოდა, მან უარი თქვა გვარნერის ვიოლინოზე, თუმცა კი თან ინდიელთა ნაკეთობები წაიღო. მოგონებებისთვის მათი ფასეულობისგან განსხვავებით, ნივთების ობიექტური ღირებულება მეცნიერს არ აინტერესებდა.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, ივიკო საყვარელიძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონ მერაბ მახარაძის რძალი (ძმის მეუღლე) ქალბატონი

ინა მახარაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

გურამ, ლია, მაია გვეტაძეები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ფირან ჯორჯაძის მეუღლის, ღირსეული ქალბატონის

ნარგიზა ჭყონიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

◎ ინფორმაცია

მამაკაცის ცხედარი ოსურ მხარეს გადასცეს

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ ნიქოზში, წყლის არხში ნაპოვნი მამაკაცის ცხედარი ოსურ მხარეს გადასცეს.

ადგილობრივებმა წყლის არხში მამაკაცის ცხედარი იპოვნეს და მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინეს. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მამაკაცი აღმოჩნდა. მამაკაცი ოსური მხარის ტერიტორიაზე გარდაიცვალა და მდინარის დინებამ ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოიტანა.

ინციდენტების პრევენციის ფორმატში, ერგნეთში, გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებმა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საფუძველზე ცხედარი ოსურ მხარეს გადასცეს. ერგნეთში იმყოფებოდნენ გარდაცვლილის ახლობლებიც.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 1 ივლისიდან შეწყდება საქართველოს ლატარიის კომპანიის ქვემოთ ჩამოთვლილი მომენტალური ლატარიის თამაშები:

1. შვიდიანი (№005)	სფს-ს რეგისტრაციის №26-2175;
2. ბლექჯეკი (№011)	სფს რეგისტრაციის №30-2630;
3. შვიდიანი (№012)	სფს რეგისტრაციის №30-2631;
4. იღბლიანი ლარი (№013)	სფს რეგისტრაციის №51-2867;
5. საზაფხულო (№101)	სფს რეგისტრაციის №20-3135;
6. რაგბი (№018)	სფს რეგისტრაციის №25-3181;
7. ზოდიაქო (№102)	სფს რეგისტრაციის №60-3314;
8. განძის კუნძული (№103)	სფს რეგისტრაციის №62-3340;
9. მოგზაური (№105)	სფს რეგისტრაციის №19-3574;
10. შვიდიანი (№107)	სფს რეგისტრაციის №32-3654;
11. იღბლიანი ლარი (№108)	სფს რეგისტრაციის №32-3655;
12. შვიდიანი (№110)	სფს რეგისტრაციის №04-3936.

შეწყვეტილი თამაშების მოგებახვედრილ ბილეთებზე მოგების გაცემა შესაძლებელი იქნება მათი შეწყვეტის შემდეგ, თამაშების რეგლამენტით განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებში:

1. შვიდიანი (№005)	სფს-ს რეგისტრაციის №26-2175: 180 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 28 დეკემბრისა;
2. ბლექჯეკი (№011)	სფს რეგისტრაციის №30-2630; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
3. შვიდიანი (№012)	სფს რეგისტრაციის №30-2631; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
4. იღბლიანი ლარი (№013)	სფს რეგისტრაციის №51-2867; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
5. საზაფხულო (№101)	სფს რეგისტრაციის №20-3135; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
6. რაგბი (№018)	სფს რეგისტრაციის №25-3181; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
7. ზოდიაქო (№102)	სფს რეგისტრაციის №60-3314; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
8. განძის კუნძული (№103)	სფს რეგისტრაციის №62-3340; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
9. მოგზაური (№105)	სფს რეგისტრაციის №19-3574; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
10. შვიდიანი (№107)	სფს რეგისტრაციის №32-3654; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
11. იღბლიანი ლარი (№108)	სფს რეგისტრაციის №32-3655; 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი;
12. შვიდიანი (№110)	სფს რეგისტრაციის №04-3936. 60 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2015 წლის 30 აგვისტოსი.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს ლატარიის კომპანიის ტელეფონის ნომერზე: +995 32 2 649 649 .

საქართველოს ლატარიის კომპანია გისურვებთ წარმატებებს!

◎ წარდგინება

„საჭადრაკო სამყაროს“ ვარსკვლავთბრწყინვალება

მართლაც ვარსკვლავთბრწყინვალება მოგჭრიდათ თვალს გუშინ ვერის ბაღში ჭადრაკის სასახლეში ახალი ქართული ჟურნალის „საჭადრაკო სამყაროს“ წარდგინებაზე. ბოლო პერიოდში ქართველი ჭადრაკის მოყვარულები განებივრებულნი არ ვყოფილვართ საჭადრაკო თემაზე გამომავალი პერიოდული გამოცემით. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამომავალი ალმანახი „ჭადრაკი“, შემდგომ გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანი“ და უფრო მოგვიანებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება „ლაზიერი“ თუ გაახარებდა სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ და ყოველივე ეს ზღვაში წვეთი იყო ქართული საჭადრაკო სკოლისთვის, რომელსაც ათეული წლებია, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. და გუშინ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი გიორგაძის ინიციატივით, ფედერაციის გენერალური სპონსორის „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ თანადგომითა და საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ვაჟა დანელიას რედაქტორობითა და დაუღალავი შრომით დღის სინათლე იხილა ყოველკვარტალური ჟურნალის პირველმა ნომერმა.

როგორც ბატონმა გიორგი გიორგაძემ ჟურნალის წარდგინებისას განაცხადა, ალმანახის პირველი ნომერი კარგა ხნის წინათ უნდა წარედგინათ ქართველი საზოგადოებისთვის, მაგრამ მეტად სასიხარულო ფაქტმა გეგმები შეცვალა — სულ ორიოდე გვერდი დავტოვეთ, რათა ჩინეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი გაგვშუქებინა და იქ მონაწილე ჩვენი მოჭადრაკე გოგონებისთვის რამდენიმესიტყვიანი მოფერება ჩაგვეწერა. ვერცხლს ან ბრინჯაოს ვუმიზნებდით, მაგრამ მსოფლიო პირველობისა და ოქროს მედლების მოპოვებამ ჩვენდა სასიხარულოდ მთლიანად შეგვაცვლევინა ჟურნალი. შემდგომ თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამაც გადაგვაწევინა ეს თარიღი და ახლა შესაძლებლობა მოგვეცა, შეძლებისდაგვარად წარმოგიდგინოთ ჩვენი ჟურნალის პირველი ნომერიო.



მართლაც შესანიშნავი ჟურნალი გამოვიდა თავისი თემატიკითა და პროფესიონალთა მიერ შერჩეული წერილებით. ჟურნალის წარდგინება საქველმოქმედო აქციის ფონზე წარიმართა. სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდში დამსწრე სტუმრებმა და სახელოვანმა სპორტსმენებმა 6370 ლარი გადარიცხეს. სახელდახელოდ გაკეთებული ავტოგრაფებით შეიძინეს საჭადრაკო თემატიკაზე გამოცემული წიგნები, ატრიბუტიკა, სუვენირები — მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ნონა გაფრინდაშვილმა, მაია ჩიბურდანიძემ, ნანა ალექსანდრიამ, ნანა ძაგნიძემ. ჭადრაკის მოყვარულებს და ქართული პრესის ქომაგებს ახალი ჟურნალის დაბადება მიულოცეს და თანადგომა გამოუცხადეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გია ალიბეგაშვილმა, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ცნობილმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ, თბილისის მერიისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებმა.

დავულოცოთ ამ შესანიშნავ ჟურნალს გზა ჭადრაკის მართლაც საოცარ სამყაროში, ხოლო ჩვენს კოლეგებს, რომლებიც ამ ჟურნალს ქმნიან, შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ.

ავთანდილ გეჟაური

◎ ინფორმაცია

საქართველო 1 ივლისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის

ტელემაუწყებლობის გავრცელების და მიღების რეჟიმი, რომელიც დღეს მოქმედებს, არსებითად იცვლება. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმა მოსახლეობის იმ კატეგორიას ეხება, რომელიც მაუწყებლობას ღია ეთერით ე.წ. სახლის სახურავზე დამონტაჟებული ანტენით იღებს და მის ტელევიზორს DVB-T2 სტანდარტის მხარდაჭერა არ აქვს. საზოგადოების ამ ნაწილს ციფრულ ფორმატში ღია სიგნალის მისაღებად სპეციალური მოწყობილობა — სეტ-ტოპ-ბოქსი დასჭირდება. სეტ-ტოპ-ბოქსი უერთდება ძველ ტელევიზორებსაც. ულტრათანამედროვე ტელევიზორებს ციფრული სიგნალის მისაღებად სპეციალური მოწყობილობა უკვე ჩამონტაჟებული აქვს. მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც მაუწყებლობის ტრანზიტის (საკაბელო ოპერატორის) მომსახურებით სარგებლობს, ან თანამგზავრულ მაუწყებლობას სპეციალური მოწყობილობების საშუალებით იღებს, რეფორმა არ ეხება და მათ სეტ-ტოპ-ბოქსი არ დასჭირდება, თუ ტელემაუწყებლობის ღია ეთერით მიღება არ ენდომებათ.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

პაციენტი ექიმს ურეკავს:

— თქვენ ჩემთან ერთხელ იყავით, ანგარიში კი ორი ვიზიტისა გამომიგზავნეთ. რატომ?

— როგორ თუ ერთხელ? არ გახსოვთ, თქვენს ოთახში ქუდი რომ დამრჩა და მის წასაღებად დავბრუნდი?

* * *

— **გაიგე?** გუშინ ჩვენი შეფი მოკვდა.

— ვიცი, მაგრამ ვერ გამიგია — კიდევ ვინ მოკვდა მასთან ერთად?

— როგორ თუ „მასთან ერთად?“

— როგორ და, აი რა წერია ნეკროლოგში: „მასთან ერთად ჩვენგან წავიდა ჩვენი ერთი საუკეთესო თანამშრომელი“.

* * *

— **ბიჭო,** საიდანა ხარ?

— თბილისელი ვარ.

— თბილისელი არა! იქ ერთხელაც არ მინახიხარ?

* * *

საუბრობენ მამაკაცები:

— როდესაც ცოლთან ერთად მივდივარ ქუჩაში, ყველას შურს, რომ ასეთი კარგი ცოლი მყავს.

— მე კი, როდესაც ცოლთან ერთად მივდივარ ქუჩაში, ჩემი თავისა თავადვე მშურს, რომ ასეთი ცოლი მყავს.

— მე კი, როდესაც ცოლთან ერთად მივდივარ, ცოლს ჩემი შურს, რომ ასეთი კარგი ცოლი მყავს.

— მე კი ჯერაც არ შემირთავს ცოლი.

— ოი, რა ბედნიერი ხარ, ძმაო!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24